



სახელმწიფოს სწორი სტრატეგიის განხორციელება და  
საქართველოს განვითარებისთვის მნიშვნელოვანი როლი  
დასრულებულია დასრულებულია დასრულებულია

საბჭო: თბილისი ქობულაძე

# შესავალი

შესავალი.....	1
კვლევის მეთოდოლოგია.....	2
ნორმატიული ჩარჩოს ანალიზი .....	2
საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი.....	3
საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა .....	3
აკადემიური ლიტერატურის გაცნობა.....	3
1. თანასწორობის კონსტიტუციური გარანტიები.....	4
2. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და არსებული გამოწვევები.....	9
3. სახელმწიფოს პოლიტიკა გენდერული და სექსუალური ნიშნით განხორციელებულ ძალადობასთან.....	23
4. თანასწორობის უზრუნველყოფი ეროვნული მექანიზმები.....	41
დასკვნები და რეკომენდაციები .....	58

## შესავალი

ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტური სტრატეგია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხს. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული ნაბიჯები გადაიდგა გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ნიშნით განხორციელებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, მათ შორის, პარლამენტმა მიიღო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისა“ და „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონები; ასევე 2012 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლში განხორციელებული ცვლილებებით სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად დადგინა დანაშაულის ჩადენა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო, და ნებისმიერი ნიშნით გამოვლენილი შეუწყნარებლობის მოტივი განისაზღვრა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად სისხლის სამართლებრივი დანაშაულებისთვის,<sup>1</sup> კვლავ ბუნდოვანია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით არსებული გამოძიების სტანდარტები. ადამიანის უფლებათა სტრატეგიისა და სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიხედვით, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად განისაზღვრა ცალკეული ამოცანების შესრულება, აგრეთვე განისაზღვრა უფლებამოსილი უწყებები გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესასრულებლად, თუმცა საკითხების ნაწილი მხოლოდ ფრაგმენტულად არის იმპლემენტირებული, რაც მას სისტემურ ხასიათს უკარგავს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის კოდექსში 53<sup>1</sup> მუხლი სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს დანაშაულებს, რომლებიც სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის საფუძველზე არის ჩადენილი. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების პროცესში გამოიკვეთა არაერთი ფაქტი, როცა საგამოძიებო ორგანოებს არ დაუდგენიათ დანაშაულის მოტივი და შედეგად დაწყებული გამოძიება შეწყდა დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო.<sup>2</sup>

ლგბტ პირთა მიმართ საზოგადოების განწყობაზე მსუსხავი ეფექტის მქონე კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებები, რომლებითაც ქორწინება სამართლებრივად მონესრიგდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს აქვს ფართო დისკრეცია ქორწინების სამართლებრივი აღიარების პროცესში, მსგავსი შინაარსის ნორმის არსებობა წარმოადგენს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის აღუსრულებლობას, ხელს უწყობს ლგბტ წყვილების მარგინალიზაციას,

<sup>1</sup> იხ. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53<sup>1</sup>, მიღების თარიღი: 22/07/1999;

<sup>2</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2017, გვ. 32.

მათ მიმართ არსებული სტიგმის გაღვივებასა და განსხვავებული მოპყრობის წახალისებას როგორც კერძო ურთიერთობებში, ასევე სხვადასხვა სერვისების მიღების პროცესში.<sup>3</sup>

კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს გენდერის სამართლებრივი აღიარების არსებული მოდელი. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციაში, რომელიც კომიტეტმა მე-4 და მე-5 ანგარიშების განხილვის შედეგად მოამზადა, აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები ტრანსგენდერი პირების გენდერის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვების აღმოსაფხვრელად, რასაც დღემდე არ მოჰყოლია ჰუმანური და ადეკვატური რეაქცია სახელმწიფოს მიერ.

## კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა შეეხება სახელმწიფოს ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკას გენდერული და სექსუალური ნიშნით განხორციელებულ ძალადობასა თუ უთანასწორო მოპყრობასთან დაკავშირებით. კვლევაში მიმოხილულია ის ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპებსა და დაბრკოლებებს მისი რეალური უზრუნველყოფის პროცესში. ამ მიმართულებით ასევე განხილულია ძირითადი ინსტიტუციური მექანიზმები, რომელთა უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს გენდერული სამართლიანობის მიღწევა და საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური თუ ტრანსფობიური განწყობების ეტაპობრივად შემცირება.

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა შემდეგი ინსტრუმენტები: ერთი მხრივ, არსებული ნორმატიული ჩარჩოს ანალიზი, მათ შორის, საერთაშორისო სტანდარტების შესწავლა; ცალკეული სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი, რასაც მხოლოდ საილუსტრაციო ხასიათი აქვს; ცალკეული უწყებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახალხო დამცველისა და საერთო სასამართლოებიდან, ასევე აკადემიური ლიტერატურის გაცნობა.

## ნორმატიული ჩარჩოს ანალიზი

➤ გენდერული და სექსუალური ნიშნით განხორციელებული ძალადობის წინააღმდეგ არსებული სირთულეები და დაბრკოლებები ხშირად კავშირშია საკანონმდებლო დონეზე არსებულ პრობლემებთან, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ლგბტ პირთა უფლებების დაცვისთვის ეფექტური სამართლებრივი დაცვის მექანიზმების არსებობას. კვლევის ფარგლებში ძირითადი ნორმატიული ბაზის შესწავლა მიზნად

<sup>3</sup> o b : Discrimination and violence against individuals based on their sexual orientation and gender identity, Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, O A/HRC/29/23, para. 68

ისახავდა, გამოვლენილიყო ის ძირითადი ხარვეზები, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის თანასწორობის უფლების რეალიზაციის პროცესში.

### საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი

➤ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოცდილების კვლევა რამდენიმე ფაქტორის გამო მოხდა: ერთი მხრივ, გაანალიზებულიყო ცალკეულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო სტანდარტები, ხოლო, მეორე მხრივ, პრობლემის გადასაჭრელად არსებული გზების მოძიებაში კვლევის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები დაფუძნებოდა ლგბტ პირთა უფლებების დაცვისთვის არსებულ საუკეთესო პრაქტიკას.

### საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა

➤ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურ რეაგირებას და აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიების შესახებ არსებული ინფორმაციის საჯაროობას.

წლების განმავლობაში გენდერული და სექსუალური ნიშნით განხორციელებული ძალადობის ფაქტების ანალიზი და მისი მასშტაბების დადგენა ვერ ხდებოდა, რაც ბევრ საკითხთან იყო კომპლექსურად დაკავშირებული. ცალკეული უწყებები არ აწარმოებდნენ სტატისტიკურ ინფორმაციასა და ანალიზს. გენდერული და სექსუალური ნიშნით განხორციელებული ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის შესწავლის მიზნით მოხდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა ცალკეული სახელმწიფო ორგანოებიდან, მათ შორის, სასამართლოდან.

### აკადემიური ლიტერატურის გაცნობა

➤ კვლევის მიზნებისთვის დამუშავდა გენდერული და სექსუალური ნიშნით განხორციელებული ძალადობის თემამზე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცემული აკადემიური ნაშრომები, ანგარიშები, სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე პოლიტიკის დოკუმენტები.

# 1. თანასწორობის კონსტიტუციური გარანტიები

## 1.1. თანასწორობის უფლება

კონსტიტუციის მე-11 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, შექმნას ადამიანების დაცვისთვის თანაბარი სამართლებრივი გარანტიები.<sup>4</sup> მე-11 მუხლი ჩამოთვლის იმ ნიშნებს, რომლებითაც ხდება თანასწორობის პრინციპის განმტკიცება, კერძოდ, აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.<sup>5</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო თანასწორობის უფლებას ფართოდ განმარტავს და ჩამოთვლილი ნიშნების გარდა ნებისმიერი სხვა საფუძველით არსებულ დისკრიმინაციას აკრძალავს. <sup>6</sup> [...] მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური ორიენტაცია პირდაპირ არ არის მოხსენიებული კონსტიტუციით განსაზღვრული ნიშნების ჩამონათვალში, არსებითად თანასწორი პირების ნებისმიერი დიფერენცირება აღნიშნული ნიშნის საფუძველზე შეფასებადია თანასწორობის ძირითად უფლებასთან მიმართებით. <sup>7</sup> “დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოს პირდაპირ აკისრებს ვალდებულებას მის მიერ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია თანხვედრაში იყოს თანასწორობის ძირითად არსთან, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში კონტლიქტში არსებული ნებისმიერი ნორმა შეიძლება გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი.”<sup>8</sup>

თანასწორობის უზრუნველყოფი კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები თავისი არსით არადისკრიმინაციულია, თუმცა პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ კონსტიტუციაში არსებული გარანტიები თანასწორობის ე.წ. ფორმალურ მოდელს განამტკიცებს, რაც ნაკლებ გარანტიებს ქმნის ლგბტ პირთა მიმართ არსებული უთანასწორობის აღმოფხვრის თვალსაზრისით.

<sup>4</sup> თ. ტუღუში, გ. ბურჯანაძე, გ. მშენიერაძე, გ. გოცირიძე, ვ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, თბ., 2013, გვ. 31.

<sup>5</sup> თ. ქინქლაძე, ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა და არსებული საკანონმდებლო ბარიერები, თბ., 2018, გვ. 5;

<sup>6</sup> იხ. ადამიანის უფლებები და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, გვ. 36;

<sup>7</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ

<sup>8</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II.4)

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და კონსტიტუციით დადგენილი გარანტიები შესაძლებელია, სახელმწიფოს აკისრებდეს ნებისმიერი პირის მიმართ თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობის უზრუნველყოფის ვალდებულებას, თუმცა აღნიშნული არ ადგენს პირდაპირ ვალდებულებას სახელმწიფოსთვის მიიღოს განსაკუთრებული ზომები არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად. საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, არსებითი თანასწორობის მიღწევის ვალდებულება მხოლოდ გენდერული თანასწორობის მისაღწევად განისაზღვრა, კერძოდ, სახელმწიფოს დაეკისრა განსაკუთრებული ზომების მიღების ვალდებულება მამაკაცებისა და ქალების მიმართ არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული გამომდინარეობდა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის N25-ე რეკომენდაციიდან, რომელიც კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას ეროვნულ კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში შეიტანონ დებულებები, რომლებიც მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს განამტკიცებს,<sup>9</sup> რაც გულისხმობს ფორმალური თანასწორობის მოდელიდან არსებით თანასწორობის მოდელზე გადასვლას. ასევე გაეროს უშიშროების საბჭოს 1325-ე რეზოლუციიდანაც.<sup>10</sup>

გენდერული თანასწორობა კონსტიტუციით არის განსაზღვრული ევროკავშირის შემდეგ სახელმწიფოებში: *ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, შვედეთი, ბელგია და სხვა*.<sup>11</sup> კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებით არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ზომების გატარების ვალდებულება სექსუალური ორიენტაციის ან თანასწორობის ნებისმიერი სხვა ნიშნით დარღვევის შემთხვევაში არ ეკისრება.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, რომელიც კონსტიტუციაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით მომზადდა, დადებითად შეფასდა კონსტიტუციის ცვლილებების პროექტში თანასწორობის პრინციპის უზრუნველყოფი ნიშნების ჩამონათვალიდან ღია დათქმის არსებობა, რომელიც გარდა კონსტიტუციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებისა, ნებისმიერი სხვა ნიშნის მიხედვით განხორციელებულ დისკრიმინაციას კრძალავს.<sup>12</sup> კონსტიტუციის მსგავსი ჩანაწერი სამართალშემფარდებელ

<sup>9</sup> იხ. General recommendation No. 25, on article 4, paragraph 1, of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, on temporary special measures, 2/25/2019:

[http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/General%20recommendation%2025%20\(English\).pdf](http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/General%20recommendation%2025%20(English).pdf),

<sup>10</sup> იხ. SECURITY COUNCIL, UNANIMOUSLY ADOPTING RESOLUTION 1325 (2000), CALLS FOR BROAD PARTICIPATION OF WOMEN IN PEACE-BUILDING, POST-CONFLICT RECONSTRUCTION, 2/25/2019, შემდეგ ბმულზე:

<https://www.un.org/press/en/2000/20001031.sc6942.doc.html>

<sup>11</sup> იხ. ინფორმაცია:

[http://ec.europa.eu/justice/gender-equality/files/your\\_rights/gender\\_equality\\_law\\_in\\_europe\\_2015\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/gender-equality/files/your_rights/gender_equality_law_in_europe_2015_en.pdf), 2/25/2019,

<sup>12</sup> იხ. CDL-AD(2017)023-e, Georgia - Opinion on the draft revised Constitution as adopted by the Parliament of Georgia at the second reading on 23 June 2017, adopted by the Venice Commission at its 112th Plenary Session (Venice, 6-7 October 2017), 2/25/2019,

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2017\)023-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2017)023-e)

ორგანოებს მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ დისკრიმინაციის აკრძალვის საჭიროების საკითხი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად განსაზღვრონ. აღნიშნული დათქმის საშუალებით ასევე გაჩნდება შესაძლებლობა, სექსუალური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები მოექცეს თანასწორობის უფლებით დაცულ სფეროში. მიუხედავად კონსტიტუციაში არსებული დათქმისა, დღემდე პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ არსებულ ჩანაწერში არ არსებობს სექსუალური ნიშნით განხორციელებული დისკრიმინაცია, როგორც დისკრიმინაციის დამოუკიდებელ ნიშანი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი სექსუალურ ორიენტაციის ნიშნით განხორციელებულ დისკრიმინაციას ცალკე არ მოიხსენიებს, ევროპულმა სასამართლომ ცალსახად არაერთი გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ აღნიშნული პირდაპირ მოიაზრება „სხვა“ საფუძვლებში. საქმეში S.L.v. Austria-ის წინააღმდეგ განმცხადებელი ასაჩივრებდა ეროვნულ კანონმდებლობას, რომლითაც ორ მამაკაცს შორის შეთანხმებული ურთიერთობა სისხლის სამართლის წესით ისჯებოდა, თუ ერთ-ერთი მხარე არ იყო 14 წელს მიღწეული. განსხვავებით მამაკაცებისგან, ქალებს სექსუალური ცხოვრების დაწყება 14 წლიდან შეეძლოთ. აღნიშნული საქმეზე სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაციის ფაქტი სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.<sup>13</sup>

## 1.2. ქორწინების უფლება

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად დაიწყო აქტიური დისკუსია ქორწინების ცნების განსაზღვრის შესახებ. პრემიერმინისტრის მიერ 24 აგვისტოს გაკეთებული განცხადების თანახმად, „ქართული ოცნება“ არჩევნების შემდეგ აუცილებლად განახორციელებდა საკონსტიტუციო ცვლილებას, რომლიც ქორწინებას ქალისა და მამაკაცის კავშირად განსაზღვრავდა.<sup>14</sup> ამის პარალელურად საქართველოს პარლამენტს წარედგინა კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომელიც 80-მა პარლამენტის წევრის მიერ იყო ინიცირებული. კანონპროექტით, საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლით, ქორწინება უნდა განსაზღვრულიყო, როგორც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, აღნიშნული ინიციატივის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის უფრო მკაფიო ფორმულირების არსებობა, რაც მოხსნიდა ნორმის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ კითხვებსა და შექმნიდა კონსტიტუციისა და სამოქალაქო კოდექსით არსებული ქორწინებისა და ოჯახის მკაფიო დეფინიციას.<sup>15</sup>

<sup>13</sup> იხ. სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, გვ. 104.

<sup>15</sup> იხ. ინფორმაცია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/118551,2/25/2019>;



28 მარტს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სამოქალაქო ქორწინებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ წარდგენილი ინიციატივა დაარეგისტრირა. რეფერენდუმის დანიშვნის შემთხვევაში მოსახლეობას მოუწევდა შემდეგ შეკითხვაზე პასუხის გაცემა: „გინდათ თუ არა, რომ ერთნაირ სქესიანთა ქორწინება დაშვებულ იქნას საქართველოში?“<sup>16</sup> 30 ივლისს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჯგუფის 200 000-ზე მეტი ხელმოწერის ნამდვილობა დაადასტურა და 1 აგვისტოს სარეფერენდუმო მასალები პრეზიდენტს გადაუგზავნა ხელმოსაწერად, თუმცა პრეზიდენტის გადაწყვეტილებით რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ არსებული აღნიშნული ინიციატივა უარყოფილ იქნა.<sup>17</sup>

2016 წელს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში კვლავ განახლდა დისკუსია კონსტიტუციის 36-ე მუხლში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით ინიციატივა წარადგინა პარლამენტის ორმა წევრმა, სოფიო კილაძემ და მანანა კობახიძემ. ინიციატივის თანახმად, ქორწინება უნდა განსაზღვრულიყო, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. 2016 წელს მმართველი პარტიის მიერ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილ აღნიშნულ ინიციატივას საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა, რაც ცალსახად უარყოფითად იქნა შეფასებული, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.<sup>18</sup>

აღნიშნული დისკუსიის პარალელურად საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 28 იანვარს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა გიორგი ტატიშვილმა. მოსარჩელე სადავოდ ხდიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის სიტყვების „ქალისა და მამაკაცის“ კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მოსარჩელე გაუმართლებლად მიიჩნევდა ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების დაკანონებას, თუმცა ამავე დროს მიუთითებდა, რომ არსებული, დისკრიმინაციული რეჟიმი არღვევს იმ პირთა უფლებებს, რომლებსაც თვქტობრივად გააჩნიათ ოჯახისათვის დამახასიათებელი თანაცხოვრება.<sup>19</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებლად მიიჩნია და არ მიიღო არსებითად განსახილველად, რადგან სასარჩელო მოთხოვნის მიმართება საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის ნაცვლად მე-14 მუხლთან მიმართებაში დაინახა, რომლითაც კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არის დაცული.<sup>20</sup>

<sup>16</sup> იხ. ინფორმაცია: <http://netgazeti.ge/news/104754/2/25/2019>

<sup>17</sup> იხ. ინფორმაცია: [https://civil.ge/ka/archives/155270\\_2/25/21019](https://civil.ge/ka/archives/155270_2/25/21019);

<sup>18</sup> იხ. გ.წონიაშვილი, ქორწინების ცნების განსაზღვრა: ევროპული სტანდარტები და ქართული გამოცდილება, გვ. 2, <http://old.isfed.ge/main/1212/geo/,2/225/2019>;

<sup>19</sup> იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე გიორგი ტატიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

<sup>20</sup> იხ. იქვე;

ვენეციის კომისიის მოსაზრებებში აღნიშნულია, რომ ქორწინების უფლების მარეგულირებელმა ნორმებმა არ უნდა დატოვოს ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილები სამართლებრივი აღიარების გარეშე.<sup>21</sup> მსგავსი შეფასებებია გაკეთებული Amnesty International-ის 2018 წლის ანგარიშშიც.<sup>22</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს აქვს თვითონ დისკრეცია ქორწინების სამართლებრივი აღიარების პროცესში და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მიღებულ ცალკეულ გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ ქორწინების სამართლებრივი მონესრიგება სახელმწიფოს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია, სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის, პირადი ცხოვრების, დარღვევად მიიჩნია ცალკეულ შემთხვევაში ეროვნულ კანონმდებლობაში ისეთი ნორმების არსებობა, რომლებიც ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს სამართლებრივი დაცვისა და აღიარების გარეშე ტოვებდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ გადაწყვეტილებაში Schalk and Knopf v. Austria-ის წინააღმდეგ სასამართლომ განმარტა, რომ ქორწინება მჭიდრო კავშირშია საზოგადოებაში არსებულ სოციალურ და კულტურულ კონოტაციებთან, რომლებიც შესაძლებელია, სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებული დატვირთვის მქონე იყოს. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი აკისრია ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელმაც უნდა შეაფასოს საზოგადოების საჭიროებები და მოახდინოს მათზე სათანადო რეაგირება. მსგავსად საწინააღმდეგო სქესის მქონე პირებისა, ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ ურთიერთობა, რაც საკუთარ თავში მოიაზრებს ასევე იმის შესაძლებლობას, რომ მათი ურთიერთობების სამართლებრივად აღიარება მოხდეს.<sup>23</sup>

2015 წლის გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის ოფისის ანგარიშის მიხედვით, მსგავსი ტიპის ურთიერთობების არაღიარება და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის აღუსრულებლობა ხელს უწყობს ლეგტიმური წყვილების მარგინალიზაციას, მათ მიმართ არსებული სტიგმის გაღვივებას და განსხვავებული მოპყრობის წახალისებას, როგორც კერძო ურთიერთობებში, ასევე სხვადასხვა სერვისების მიღების პროცესში.<sup>24</sup>

2017 წლის მარტის მდგომარეობით ევროპის 13 ქვეყანაში სამართლებრივად აღიარებულია ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინება, ეს ქვეყნებია: **ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, ისლანდია, ირლანდია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, პორტუგალია, ესპანეთი, შვედეთი და გაერთიანებული, გაერთიანებული სამეფო და შოლანდია**, ხოლო დამატებით 14 ევროპული ქვეყანა აღიარებს სამოქალაქო პარტნიორობის სხვადასხვა ფორმას, ეს ქვეყნებია,

<sup>21</sup> იხ. CDL-AD(2017)013-e Georgia - Opinion on the draft revised Constitution;

<sup>22</sup> იხ. ინფორმაცია: <https://www.amnesty.org/download/Documents/POL1067002018GEORGIAN.PDF>, 2/25/2019;

<sup>23</sup> იხ. „კოალიცია სამართლიანობისთვის“ მიმართვა ვენეციის კომისიას საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის ცვლილებასთან დაკავშირებით: <https://bit.ly/2H5PILx>

<sup>24</sup> იხ. ანგარიში: 0 A/HRC/29/23, para. 68

*ავსტრია, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, ესტონეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, ლიხტენშტეინი, მალტა, სლოვენია, შვეიცარია და ანდორა.*<sup>25</sup>

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ სახელმწიფოები, რომლებსაც სურთ ევროკავშირში განეწიანება, უნდა აკმაყოფილებდნენ ე.წ კოპენჰაგენის კრიტერიუმებს, რომ უზრუნველყოფენ დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობების უფლებების დაცვას. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციით დადგენილი ძირითადი პრინციპების დაცვა, ასევე ევროპის საბჭოს თანასწორი მოპყრობის შესახებ 2000 წლის 7 ნოემბრის დირექტივით განსაზღვრული ძირითადი კრიტერიუმების ინკორპორირება ნაციონალურ კანონმდებლობაში.<sup>26</sup>

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს არ ეკისრება ერთი და იმავე სტეისის მქონე პირთა ქორწინების რეგულირების ვალდებულება, თუმცა შეთანხმების თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას, მამაკაცსა და ქალს შორის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, ასევე, სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე განხორციელებული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლას.<sup>27</sup>

## 2. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და არსებული გამოწვევები

### 2.1. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

2014 წელს საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით საქართველოს პარლამენტს წარედგინა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. როგორც კანონის განმარტებითი ბარათშია აღნიშნული, კანონპროექტის მიღების მიზგზი საქართველოში არსებული ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის არაეფექტურობა და დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმების დეკლარაციული ხასიათი იყო, რაც არ განსაზღვრავდა მათი დარღვევის შემთხვევაში

<sup>25</sup> იხ. CDL-AD(2017)013-e Georgia - Opinion on the draft revised Constitution;

<sup>26</sup> Recht und Sicherheit für Lesben und Schwule in Europa: <https://www.lsu-online.de/wp-content/uploads/2016/01/LSU-Europapapier-2014.pdf>, 2/26/2019;

<sup>27</sup> იხ. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება: <http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA>, 2/26/2019,

სამართლებრივ შედეგებს, რითაც ფაქტობრივად ვერ ხდებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის პრაქტიკული იმპლემენტაცია. კანონპროექტის მიხედვით უნდა მომხდარიყო უფლების დაცვის ეფექტური ადმინისტრაციული და სასამართლო მექანიზმების შექმნა, რითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა დარღვეული უფლებების აღდგენა. კანონის მიღების აუცილებლობა ასევე განპირობებული იყო არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, არამედ ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებებით.<sup>28</sup>

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ საქართველოს სახალხო დამცველმა საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით. ინიციატივის თანახმად, ცვლილებები უნდა განხორციელებულიყო საქართველოს „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონში, „სამოქალაქო საპროცესო“ კოდექსში და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში, რაც სამომავლოდ არსებული კანონმდებლობის ეფექტურობის ხარისხს გაზრდიდა.<sup>29</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, დღემდე არ განხორციელებულა სისტემური ცვლილებები, რაც მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია თანასწორობის უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის პროცესში.

„დისკრიმინაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს დისკრიმინაციის ცნებას და სახელმწიფოს ავალდებულებს, როგორც *პირდაპირი*, ასევე *არაპირდაპირი* დისკრიმინაციის ფაქტებზე მოახდინოს სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება, ასევე საკანონმდებლო და შიდასამართლებრივი ნორმები შეუსაბამოს როგორც აღნიშნული კანონით დადგენილ პრინციპებს, ასევე სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას.

*პირდაპირი დისკრიმინაცია* თავისი არსით კრძალავს ისეთი პირობების შექმნას ან მოპყრობის არსებობას, რაც დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ პირებს სხვა პირებთან შედარებით, ხოლო თანაბარ მდგომარეობაში აყენებს იმ პირებს, რომლებიც არსებითად უთანასწორო პირობებში იმყოფებიან.

განსხვავებით პირდაპირი დისკრიმინაციისგან, *არაპირდაპირი დისკრიმინაციის* შემთხვევაში შესაძლებელია ცალკეული ქმედება თავისი არსით დისკრიმინაციული არ იყოს, თუმცა მისი შედეგი იწვევდეს დისკრიმინაციას. ეს ის შემთხვევაა, როცა სახელმწიფო არ ასრულებს

<sup>28</sup> იხ. კანონპროექტის განმარტებითი ბარათი: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/152154>, 2/26/2019.

<sup>29</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის სპეციალური ანგარიში: <https://drive.google.com/file/d/1bUXN68rSloXYDrZkWemE58aGg39twy-z/view>, 2/26/2019;

პოზიტიურ ვალდებულებას იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებთანაც ამის საჭიროება არსებობს, ეს კი თავისი არსით იწვევს მათ არახელსაყრელ პირობებში ჩაყენებას.<sup>30</sup>

გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ გაეროს კომიტეტის მიერ არაპირდაპირი დისკრიმინაციად მიიჩნევა სახელმწიფოს მიერ გატარებული ნებისმიერი პოლიტიკა, რომელიც შესაძლებელია, არსით დისკრიმინაციული არ იყოს, თუმცა მისმა იმპლემენტაციამ გამოიწვიოს დისკრიმინაციული შედეგი.<sup>31</sup>

კანონის პირველ მუხლში დისკრიმინაციის აღმოფხვრა და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანაბარი სარგებლობის უზრუნველყოფა, დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმა, მათ შორის გენდერული იდენტობის და სექსუალური ორიენტაციის მიხედვით, იკრძალება, თუმცა არსებულ ჩამონათვალში არ გვხვდება შევიწროების ცნება, რაც ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ერთ-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.<sup>32</sup>

ევროკავშირის დირექტივების მიხედვით, შევიწროებად განიშარტება ნებისმიერი არასასურველი ქცევა, რომელიც შეიძლება, გამოიხატოს სიტყვიერი ან არასიტყვიერი ფორმით და გამოიწვიოს პირის ღირსების შელახვა ან მისთვის დამაშინებელი მტრული, დამამცირებელი ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნა.<sup>33</sup>

შევიწროება კლასიკური გაგებით პირდაპირი დისკრიმინაციის სახეს წარმოადგენს და ევროკავშირის დირექტივებში მისი ცალკე გამოყოფა განპირობებულია აღნიშნული ქმედების წინააღმდეგ განსაკუთრებული ბრძოლის საჭიროებიდან. გენდერული თანასწორობის დირექტივების მიხედვით, სექსუალურ შევიწროებას, როგორც არასასურველ, ვერბალურ, არავერბალურ ან ფიზიკურ ქცევას, სექსუალური ხასიათი გააჩნია. ევროკავშირის მასშტაბით გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ჩატარებული კვლევების მიხედვით, ქალების 75% პროცენტი იყო სამუშაო ადგილზე შევიწროების მსხვერპლი, ხოლო 10 ქალიდან ერთს ჰქონდა სექსუალური შევიწროების გამოცდილება სხვადასხვა სახის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით.<sup>34</sup>

ევროკავშირის დირექტივების მიხედვით, შევიწროებას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ სახეს, ახასიათებს შემდეგი სამი ნიშანი:

- პირის მიმართ უნდა ხორციელდებოდეს არასასურველი მოპყრობა კონკრეტულად იმ ნიშნის გამო, რომელიც მას ახასიათებს;

<sup>30</sup> იხ. ინფორმაცია: [http://www.library.court.ge/upload/beqa\\_dzamashvili.pdf](http://www.library.court.ge/upload/beqa_dzamashvili.pdf), 2/26/2019;

<sup>31</sup> იხ. ინფორმაცია: <https://www.refworld.org/docid/43f3067ae.html>, 2/26/2019;

<sup>32</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის სექტემბრის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ;

<sup>33</sup> იხ. გენდერული თანასწორობა საქართველოში ბარიერები და რეკომენდაციები, 2018 წელი იანვარი,

[http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/84645/GEO-Vol1\\_GenderEqualityinGeorgia\\_BarriersandRecommendations\\_Final](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/84645/GEO-Vol1_GenderEqualityinGeorgia_BarriersandRecommendations_Final)

<sup>34</sup> იხ. Handbook on European non-discrimination law, (Interights, 2018 Edition), 66.

- მოპყრობა მიზნად უნდა ისახავდეს ან ინვესტირდეს პირის ღირსების შელახვას;
- პირის მიმართ უნდა იქმნებოდეს დამაშინებელი, მტრული, შეურაცხყოფელი, დამამცირებელი ან ღირსების შემლახავი გარემო.<sup>35</sup>

ევროპის სოციალური ქარტიის 26-ე მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, სამუშაო ადგილზე ან სამუშაო ადგილთან დაკავშირებით სექსუალური თავისუფლების ხელყოფისას მიიღოს სათანადო ზომები, ასევე მსგავსი ქმედებების თავიდან ასაცილებლად. ასევე ხელი შეუწყოს სამუშაო ადგილზე სექსუალური თავისუფლების ხელყოფის თავიდან აცილებას და მიიღოს სათანადო ზომები მსგავსი ქმედებებისგან დასაქმებული პირების დასაცავად.

სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა 2014 და 2016 წლებში სოციალური ქარტიის 26-ე მუხლთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ანგარიშის შეფასებისას დაადგინა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არსებული მუხლები ვერ უზრუნველყოფდა სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ეფექტური პოლიტიკის გატარებას,<sup>36</sup> არსებული რეგულაციები ასევე არ იყო საკმარისი სამუშაო ადგილზე ფსიქოლოგიური შევიწროების წინააღმდეგ სათანადო დაცვის უზრუნველსაყოფად.<sup>37</sup>

საქართველოს პარლამენტში 2019 წლის 23 იანვარს წარდგენილ იქნა საქართველოს ორგანულ კანონში, „საქართველოს შრომის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტი, რაც პარლამენტის წევრების<sup>38</sup> მიერ იქნა ინიცირებული. კანონპროექტის თანახმად, შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში დისკრიმინაციად არის მიჩნეული (მათ შორის სექსუალურ შევიწროებად) [...] პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რაც მიზნად ისახავს ან ინვესტირდეს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.“ კანონპროექტით განმარტებულია სექსუალური შევიწროების ცნებაც. აღნიშნული გულისხმობს პირის მიმართ არასასურველ სექსუალური ხასიათის ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს მისი ღირსების შელახვას და ქმნის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხყოფელ გარემოს.<sup>39</sup>

აღნიშნული ცვლილებების პარალელურად ასევე მომზადდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების

<sup>35</sup> იხ. თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშეწყობის გარემოებები საქართველოში, გვ. 35, [http://www.library.court.ge/upload/beqa\\_dzamashvili.pdf](http://www.library.court.ge/upload/beqa_dzamashvili.pdf)

<sup>36</sup> იხ. <http://hudoc.esc.coe.int/eng?i=2014/def/GEO/26/2/EN>

<sup>37</sup> იხ. <http://hudoc.esc.coe.int/eng?i=2016/def/GEO/26/2/EN>

<sup>38</sup> კანონპროექტის ინიციატორები არიან პარლამენტის წევრები: თამარ ჩუგოშვილი, თამარ ხულორდავა, დიმიტრი ცქიტიაშვილი, რატი ოინათაშვილი, გუგული მაღრაძე, ენქელა მაჭავარიანი, გიორგი ტულუში;

<sup>39</sup> იხ. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი, 2/25/2019, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/213477?>

პროექტი, რომლითაც ადმინისტრაციულ გადაცდომად განისაზღვრება სექსუალური შევიწროება, კერძოდ საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა.<sup>40</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, მიუხედავად იმისა, რომ შევიწროების აკრძალვას ცალკე არ ითვალისწინებს, გამომდინარეობს კონვენციით დაცული არაერთი მუხლიდან, თუმცა ყველაზე ახლოს მსგავსი ქმედება ახლოს დგას ადამიანის უფლებათა მე-3 მუხლით დაცულ ღირსების შემლახავ მოპყრობასთან.<sup>41</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ [...] მე-3 მუხლის დებულებები არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკური ძალადობის აქტს. ის ასევე მოიცავს ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენებას. შესაბამისად, მოპყრობა (ფიზიკური ძალადობა) შესაძლოა, დამამცირებლად განვიხილოთ, როდესაც ის მსხვერპლში ისეთ შიშს, ტკივილსა და არასრულფასოვნების შეგრძნებას იწვევს, რომელიც მას ამცირებს და შეურაცხყოფს (იხ. Gäfgen v. Germany [GC], № 22978/05, 103-ე პარაგრაფი, 2010 წლის 1 ივნისი, და remia v. the Republic of Moldova, № 3564/11, 54-ე პარაგრაფი, 2013 წლის 28 მაისი). დისკრიმინაციული მოპყრობა, როგორც ასეთი, შესაძლოა, მე-3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენდეს, თუ ასეთი მოპყრობა სიმძიმის ისეთ ზღვარს აღწევს, რომ ადამიანის ღირსების შელახვას წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად კი, ისეთი მოპყრობა (ფიზიკური ძალადობა), რომელიც ჰომოსექსუალური უმცირესობის წინააღმდეგ ჰეტეროსექსუალური უმრავლესობის დისკრიმინაციულ განწყობას ეფუძნება, შესაძლოა, თეორიულად მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში მოხვდეს.“

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს გასაჩივრებისთვის დადგენილი მოკლე ვადები, რაც მნიშვნელოვანად აფერხებს თანასწორობის უფლების რეალიზაციას. შრომით დავებთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სასამართლოში საჩივრის წარდგენისთვის განსაზღვრულია 30 კალენდარული დღე.<sup>42</sup> განსხვავებული ხანდამულობის ვადებია დადგენილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>2</sup> მუხლით. დისკრიმინაციის საქმეებთან დაკავშირებით, სასამართლოსთვის სარჩელის დასაშვებობის სავალდებულო პირობაა სახალხო დამცველისადმი მიმართვა ან სხვა უფლებამოსილ ორგანოში საჩივრის წარდგენა. სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვა შესაძლებელია 3 თვის განმავლობაში მას

<sup>40</sup> იხ. საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

<sup>41</sup> დისკრიმინაციული შევიწროება, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, გვ.15.

<sup>42</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 38, პუნქტი 7; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=8>

შემდეგ, რაც პირმა გაიგო იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც მან დისკრიმინაციულად მიიჩნია.<sup>43</sup>

კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების ვადები ვერ უზრუნველყოფენ დისკრიმინაციის დაცვისთვის ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმის ფორმირებას. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის დირექტივების მიხედვით დადგენილი არ არის სახელმწიფოებისთვის კონკრეტული ვადა საჩივრის წარსადგენად და ამის განსაზღვრა გარკვეულწილად სახელმწიფოს დისკრეციას წარმოადგენს,<sup>44</sup> პრობლემა ასევე წარმოიშობა ნორმის პრაქტიკული იმპლემენტაციის პროცესში. მომჩივანი სახალხო დამცველისთვის მიმართვის პარალელურად ხშირად მიმართავს სასამართლოს, რაც ფაქტობრივად საქმის წარმოების შეჩერების საფუძველია. ასევე 3 თვის ვადაში ხშირად პრობლემურია მოხდეს ერთი მხრივ სახალხო დამცველის მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევა, ხოლო მეორე მხრივ მოესწროს საჩივრის წარდგენა სასამართლოში, რაც ფაქტობრივად აცლის არსს აღნიშნული ორგანოების ეფექტურობას. სახალხო დამცველის რეკომენდაციით, იმ შემთხვევაში, თუ ერთ წლამდე გაიზრდება გასაჩივრების ვადა, დაზარალებულს ექნება შესაძლებლობა, გამოიყენოს უფლების დაცვის ორივე საშუალება, ჯერ მიმართოს სახალხო დამცველს, ხოლო შემდეგ სარჩელი წარადგინოს სასამართლოში.<sup>45</sup>

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი განსაზღვრავს სახალხო დამცველის მიერ საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლებს სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტების განხილვის დროს. ნორმა სამ შემთხვევაში უშვებს საქმის წარმოების შეჩერების შესაძლებლობას, როცა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით,

1. დავას სასამართლო განიხილავს;
2. მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;
3. მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა.

სახალხო დამცველის მიერ სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტების განხილვის დროს არაერთი ფაქტი დაფიქსირდა, როცა საქმის წარმოება შეჩერდა, რადგან კანონით დადგენილი 3 თვიანი ვადის გასვლამდე პირებმა ასევე სარჩელი წარადგინეს სასამართლოში, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ არსებული გარანტიები ერთი მხრივ ახდენს სახალხო დამცველისა და სასამართლოს უფლებამოსილების დუბლირებას, ასევე აფერხებს აღნიშნული ორგანოების ეფექტიან და დროულ მუშაობას.<sup>46</sup>

<sup>43</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 363<sup>2</sup>.

<sup>44</sup> იხ. გენდერული თანასწორობა საქართველოში, ბარიერების და რეკომენდაციები, გვ. 50;

[http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/84645/GEO-Vol1\\_GenderEqualityinGeorgia\\_BarriersandRecommendations\\_Final](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/84645/GEO-Vol1_GenderEqualityinGeorgia_BarriersandRecommendations_Final)

<sup>45</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ საქართველოში, გვ. 14.

<sup>46</sup> იხ. გენდერული თანასწორობა საქართველოში, ბარიერები და რეკომენდაციები, გვ. 51;



სახალხო დამცველის მიერ დისკრიმინაციის ფაქტების შესწავლის პროცესში ნებისმიერი სახელწიფო და ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალები, ახსნა-განმარტებები და საბუთები გადასცეს კანონით დადგენილი წესით სახალხო დამცველს მისი მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილი არ არის კერძო სამართლის იურიდიული პირებიც და არც კონკურენტული მექანიზმები არსებობს, რომლებიც კერძო დაწესებულებებს დაავალდებულებს სახალხო დამცველს წარუდგინოს ინფორმაცია. სახალხო დამცველის რეკომენდაციით, [...]მართებული იქნება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონში“ ისეთი ჩანაწერის გაკეთება, რომლის შესაბამისადაც თუ კერძო პირები ან საჯარო დაწესებულებები არ წარმოადგენენ მოთხოვნილ ინფორმაციას და საქმეში არსებული მასალები ქმნიან დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის შესახებ გონივრული ვარაუდის საფუძველს, მაშინ საჩივარში/განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩაითვალოს.“

## 2.2. „გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონი

1979 წლის 18 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებაა ქალთა უფლებების დაცვის სფეროში. საქართველოს 1994 წლის 22 სექტემბერს შეუერთდა ზემოაღნიშნულ აქტს, რითაც აიღო ვალდებულება, მიეღო ყველა ზომა ქალთა მიმართ არსებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.<sup>47</sup>

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ვალდებულება არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, მათ შორის „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW) კონვენციიდან. კონვენციის ფარგლებში არსებული კომიტეტის რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ საქართველომ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას გენდერული თანასწორობის განსამტკიცებლად. მიუხედავად აღნიშნულისა, ჯერ კიდევ არ განხორციელებულა სისტემური ცვლილებები, რომლებიც გააუმჯობესებს ქალთა ჩართულობას სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ურთიერთობებში.

საქართველოს პარლამენტმა 2010 წელს მიიღო „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც განისაზღვრა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებები გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად. კანონის

<sup>47</sup> იხ. ინფორმაცია: <http://old.ucss.ge/publication/018%20Kalta%20Uflebebis%20Istoriuli%20Aspeqtebi.pdf>;

ლეგიტიმურ საჯარო მიზნად დასახელდა საზოგადოების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, თანასწორი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციისთვის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა და უთანასწორო მოპყრობის თავიდან აცილება. აღნიშნული სამართლებრივი აქტი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით სახელმწიფომ მიიღო, თუმცა პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ნორმების უმრავლესობას დეკლარაციული ხასიათი აქვს. კანონი არ ითვალისწინებს კონკრეტულ მექანიზმებს, რომლებითაც მოხდება არსებული ნორმების პრაქტიკული იმპლემენტაცია, რაც კანონს ფორმალურ ხასიათს სძენს.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი განმარტავს დისკრიმინაციის ცნებას. ნორმა ახდენს დისკრიმინაციის ფორმების, კერძოდ პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის დიფერენცირებას. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მსგავსად აღნიშნული დეფინიცია არ შეიცავს დისკრიმინაციის ცნების ამომწურავ ჩამონათვალს. ტერმინის განსაზღვრაში არ არის მითითებული დისკრიმინაციის ისეთი ფორმები, როგორებიცაა სექსუალური და სხვა სახის შევიწროება. კანონის მე-6 მუხლი მხოლოდ შრომით ურთიერთობებში მიიჩნევს დაუშვებლად შევიწროების არსებობას, თუმცა ნორმები, რომლებიც გენდერული თანასწორობის მიღწევის სახელმწიფო გარანტიების ადგენს სხვადასხვა სფეროში, მათ შორის განათლების, ჯანდაცვის და სხვა ურთიერთობებში, არ შეიცავს ჩანაწერს, რომლითაც სექსუალური და სხვა ტიპის შევიწროება აიკრძალება.<sup>48</sup>

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად გულისხმობს თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ვალდებულებას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, არ შეიცავს ეფექტურ სამართლებრივ მექანიზმებს, რომლითაც მოხდება ცალკეული უფლებების დასაცავად საპროცესო-სამართლებრივი მექანიზმებზე მითითება, რაც ხელს შეუწყობდა კანონით განსაზღვრული დებულებების ეფექტურად განხორციელებას.

კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს, ე.წ. განსაკუთრებული ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც მიზნად ისახავს დისკრიმინაციული შედეგების გამოსწორებას და მიმართულია პირთა წრისადმი, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას გენდერული თავისებურებებიდან გამომდინარე.

„ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის მე-4 მუხლი ერთმანეთისგან მიჯნავს ორ ცნებას: ე.წ. დროებით სპეციალურ ზომებს და სპეციალურ ზომებს.

<sup>48</sup> იხ. გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, ნაწილი I, 2018 წელი, იანვარი, გვ. 29;

დროებითი სპეციალური ზომები კონვენციის მიზნებისთვის განიმარტება, როგორც სახელმწიფოს მიერ ფაქტობრივი თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, რომლებიც მოქმედებს მანამ, სანამ არ იქნება უზრუნველყოფილი თანასწორობისა და თანასწორუფლებიანი ურთიერთობის მიზნები. სპეციალური ზომები კი წარმოადგენს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ქალთა დედობის პროცესში არსებული დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ახდენს ამ ორი ცნების დიფერენცირებას, ამასთან ნორმა არ განსაზღვრავს, თუ რა ვადით უნდა იმოქმედოს აღნიშნულმა ღონისძიებებმა.<sup>49</sup>

კანონი ასევე განამტკიცებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიებს საარჩევნო უფლებით სარგებლობის პროცესში. კანონის მე-11 მუხლი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევის პროცესში სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ორივე სქესის პირთა თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა, თუმცა კონკრეტულ მექანიზმებზე საუბარი, რითაც ქალთა რეპრეზენტაცია უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებში გაიზრდებოდა, არც „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონში და არც საარჩევნო კანონმდებლობაში არ არსებობს.<sup>50</sup>

### 2.3. **საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი**

2015 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი მიიღო, რომლითაც არსებითად შეიცვალა საჯარო სამსახურის არსებული მოდელი. კანონით განისაზღვრა ის ძირითადი პრინციპები, რომლებმაც ერთი მხრივ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეებისთვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა, ხოლო მეორე მხრივ განამტკიცოს მათი თანასწორი მონაწილეობა საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობაში.

„საჯარო სამსახურის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი დაუშვებლად მიიჩნევს სამოხელეო-სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე ნებისმიერი მოქალაქის კანონიერი უფლებების შეზღუდვას სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და სხვა ნებისმიერი ნიშნის მიუხედავად. მე-13 მუხლი კი უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის საჯარო სამსახურში შესვლის თანაბარი შესაძლებლობის გარანტირებას, მათი უნარების, კვალიფიკაციისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად.<sup>51</sup>

<sup>49</sup> იხ. იქვე.

<sup>51</sup> იხ. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, კომენტარები, თბილისი 2018, გვ. 47;

მიუხედავად იმისა, რომ კანონით მოხდა საჯარო სამსახურის განხორციელების პროცესში თანაბარი ხელმისაწვდომობისა და თანასწორობის პრინციპების უზრუნველყოფა, დღემდე არ არსებობს კანონმდებლობაში ნორმები, რომლებიც საჯარო დაწესებულებებს დაავალდებულებს, უზრუნველყოს ეფექტური, არადეკლარაციული, ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გატარება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლი დისკრიპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას შემდეგი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში უშვებს, როცა მოხელის მიერ აღვილი ჰქონდა,

- x *სამსახურებრივ მოვალეობათა განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობას;*
- x *საჯარო დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენებისა ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნას;*
- x *ეთიკის ნორმების, ქცევის ზოგადი წესების უკუღებელობას ან დარღვევას, რომელიც მიმართულია მოხელისა და საჯარო დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურშია იგი ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ.*

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილს დადგენილებით დაამტკიცა საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები, რითაც მოხდა საჯარო დაწესებულებაში პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დამკვიდრება. განსაკუთრებით აღსანიშნავია დადგენილების 14-ე და 15-ე მუხლები, რომლებიც თანასწორობისა და სექსუალური შევიწროების დაუშვებლობის პრინციპებს განამტკიცებს საჯარო სამსახურში.<sup>52</sup>

დადგენილება უზრუნველყოფს საჯარო სამსახურში თანასწორი გარემოს ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს ადამიანის ღირსების პატივისცემას, ასევე საჯარო მოხელეების მიმართ დაუმსახურებელი უპირატესობების მინიჭების ან უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენების აკრძალვას, ასევე საჯარო სამსახურში მრავალფეროვანი გარემოს დამკვიდრებას.

საჯარო მოხელეებს ეკისრებათ ვალდებულება, პატივი სცენ თანასწორობის პრინციპს და ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მკაცრად დაიცვან აღნიშნული ნორმები. საჯარო დაწესებულება ხელს უნდა უწყობდეს განსხვავებული სქესის მქონე პირთა თანაბარი პირობების შექმნას. საჯარო მოსამსახურეებმა, როგორც სამუშაო ადგილზე, ასევე საჯარო სივრცეში, უნდა გაიაზრონ სექსუალური შევიწროების მნიშვნელობა და ხელი შეუშალონ ამგვარი პრაქტიკის გავრცელებას. დადგენილება საჯარო მოხელეებს, განსაკუთრებით, ხელმძღვანელ პირებს მოუწოდებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინონ სათანადო რეაგირება მსგავს ფაქტებზე და კონფიდენციალობის პრინციპის სრული დაცვით განიხილონ

<sup>52</sup> იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3645402?publication=1>

სექსუალური შევიწროების ფაქტები. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო მოხელეებმა ამგვარი ფაქტები უნდა ამხილონ, დადგენილება საჯარო მოხელეებს არ აკისრებს აღნიშნულის განხორციელების ვალდებულებას, იგივე პრობლემაა საჯარო მოხელეებთან დაკავშირებით, რომელთა მხოლოდ უფლებამოსილებას წარმოადგენს დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების ფაქტებთან დაკავშირებით რეაგირება.

სახალხო დამცველის 2017 სპეციალურ ანგარიშში, რომელიც დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას, მის თავიდან აცილებასა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ არსებულ მდგომარეობას შეეხება საქართველოში, საუბარია თანასწორობის დეპარტამენტის მიერ წარმოებულ საქმეებზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2016 წელს სავარაუდო დისკრიმინაციის ჩამდენთა 55% საჯარო სექტორს, ხოლო 45% კერძო პირებს წარმოადგენდა. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2017 წელს, საჯარო პირების წინააღმდეგ საქმეების რაოდენობა 73% შეადგენდა, ხოლო კერძო სამართლის იურიდიულ პირებს განმცხადებლების მხოლოდ 27% ედავებოდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საჯარო დაწესებულებებში ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.<sup>53</sup> აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გენდერული იდენტობის/ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით მომართვიანობა საკმაოდ დაბალია სახალხო დამცველის აპარატში და აღნიშნული განსხვავებით, სხვა ნიშნების მხოლოდ 8% შეადგენდა.<sup>54</sup>

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საჯარო სამსახურში არსებული მდგომარეობის მონიტორინგს ახორციელებს საჯარო სამსახურის ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას და ასევე ნორმატიული აქტების შესრულებას. ბიურო ასევე შეიმუშავებს რეკომენდაციებს ცალკეულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.<sup>55</sup> მათ შორის, შეისწავლის საჯარო სამსახურში მიღების, კარიერის მართვის თუ განვითარების, ასევე საჯარო მომსახურეთა მიერ ეთიკის დაცვისა და სამსახურიდან გათავისუფლების არსებულ პრაქტიკას. მნიშვნელოვანია, საჯარო სამსახურის ბიურომ გააანალიზოს ლეგტიმური პირთა მდგომარეობის, მათ შორის, მათი სამსახურში აყვანის, დანაშაულების, მათ მართ გენდერული/ სექსუალური ნიშნით განხორციელებული დისკრიმინაციისა თუ ძალადობრივი ფაქტები და ამ მიმართულებით არსებული პრობლემებიდან გამომდინარე შეიმუშაოს სახელმძღვანელო დოკუმენტი საჯარო მოხელეებისთვის, ასევე პერიოდულად განახორციელოს საგანმანათლებლო კამპანიები.

<sup>53</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ საქართველოში, 2017 წელი, გვ. 10.

<sup>54</sup> იხ. იქვე.

<sup>55</sup> იხ. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, 27/10/2015, მუხლი 20;

#### 2.4. ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სფეროში

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს დისკრიმინაციულ და ადამიანის ღირსების შემლახავ პროცედურებს, რომლებითაც ხდება გენდერის სამართლებრივი აღიარება.

სამოქალაქო აქტების ჩანაწერში ცვლილებების შეტანის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს სქესის შეცვლა – თუ სქესის შეცვლასთან დაკავშირებით პირს სურს სახელის ან/და გვარის ცვლილება. ნორმა არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება სქესის შეცვლაში. ასევე არ არის განსაზღვრული, თუ რა პროცედურების დაცვით უნდა მოხდეს სქესის განმსაზღვრელი ჩანაწერის ცვლილება, რაც განსაკუთრებით პრობლემებს ქმნის ტრანსგენდერი პირებისთვის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო არ ამუშავებს სტატისტიკურ ინფორმაციას სამოქალაქო აქტების ჩანაწერში იმ პირთა რაოდენობის შესახებ, რომლებმაც სააგენტოს სქესის შეცვლის მოთხოვნით მიმართეს. როგორც “თანასწორობის მოძრაობისთვის” სახელმწიფო სერვისების სააგენტოს 2018 წლის 3 დეკემბრის N12559-ე საპასუხო წერილშია საუბარი, სამოქალაქო აქტების ჩანაწერის ცვლილების მოთხოვნით იმ პირთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, რომლებმაც სააგენტოს მიმართეს, არ დამუშავდა.<sup>56</sup>

2014 წლის 9 დეკემბერს ტრანსგენდერმა პირმა განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაბადების აქტის ჩანაწერში სქესის გრაფაში არსებული მონაცემების შესაცვლელად, კერძოდ, იგი მოითხოვდა გრაფაში „მდედრობითის“ „მამრობითად“ ცვლილებას. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის გადაწყვეტილებით, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 76-82 მუხლებით, სამოქალაქო აქტების ჩანაწერში ცვლილებების განხორციელებისთვის სახეზე უნდა იყოს საკმარისი საფუძველი, რაც განმცხადებლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი, კერძოდ – სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა.

არ შეცვლილა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პოზიცია 2017 წელს, როცა ანალოგიური მოთხოვნით განმცხადებელი მოითხოვდა დაბადების სააქტო ჩანაწერსა და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესის გრაფაში მითითებული ჩანაწერის შესწორებას. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს აღნიშნული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლოს 2018 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია:

<sup>56</sup> იხ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 3 დეკემბრის N12559 პასუხი;

„სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მოსარჩელე, სქესი -მამრობითი, როგორც მისი ბიოლოგიური-ფიზიოლოგიური მონაცემი, მითითებულია სამედიცინო ცნობის - სამშობიარო სახლის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე, შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ პირი, რომელსაც სურს სქესის შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილებების განხორციელება სამოქალაქო აქტების ჩანაწერში, ვალდებულია, წარმოადგინოს ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რამდენადაც პირის მიზანი - მისი თვითშეგნებიდან -გენდერული იდენტობიდან გამომდინარე, შეცვალოს მისი სქესის აღმნიშვნელი, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემები რეალურად მიღწევადია მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე“.

სასამართლომ მოსარჩელის მიერ სქესის შეცვლის დამადასტურებელ დოკუმენტად მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, სადაც აღნიშნულია „ტრანსსექსუალიზმი“, არ მიიჩნია საკმარის საფუძველად გენდერის სამართლებრივი აღიარების პროცესში. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ გაურკვეველია, სპეციალისტი რა ხანგრძლივობით დააკვირდა განმცხადებელს, რათა შექმნოდა ნათელი სურათი პაციენტის დამოკიდებულების შესახებ საკუთარი გენდერული იდენტობის მიმართ, საიდანაც გამოიკვეთებოდა, თუ რამდენად მუდმივ პროცესს წარმოადგენდა სქესის მიმართ მოსარჩელის არაადეკვატურობის განცდა.

სასამართლოს მოსაზრებით, მსგავს შემთხვევაში ასევე მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ფსიქიკური დაავადებების გამორიცხვის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რაზეც წარმოდგენილი ცნობა არ იძლევა შესაბამის პასუხს. სასამართლომ სქესის შეცვლისთვის აუცილებელ გარემოებად მიიჩნია ფსიქიატრის, ფსიქოლოგის, ენდოკრინოლოგის და სექსოლოგის მიერ კომპლექსური შეფასების აუცილებლობა სქესის აღმნიშვნელი ჩანაწერის ცვლილებების დროს.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ გენდერის სამართლებრივი აღიარების დამკვიდრებული პრაქტიკა პირდაპირ აიძულებს ტრანსგენდერ პირებს სამოქალაქო აქტების ჩანაწერში, კერძოდ კი, სქესის გრაფაში არსებული ცვლილებების განსახორციელებლად ჩაიტარონ ჰორმონული მკურნალობა, სქესის შესაცვლელად ქირურგიული ოპერაცია და სტერილიზაცია, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ტრანსგენდერი პირების მდგომარეობას.

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშში, რომელიც ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით მდგომარეობას აფასებს, აღნიშნულია, რომ ტრანსგენდერი პირების სქესის სამართლებრივი აღიარების არსებული წესი

და იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან.<sup>57</sup>

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ აღნიშნულ საკითხზე, ჯერ კიდევ საუბარი იყო სახალხო დამცველის 2013 წელის ანგარიშში, სადაც ტრანსგენდერი პირების სქესის აღიარების არსებულ წესთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა მთავრობას, ტრანსგენდერი პირების სახელმწიფო დაწესებულებების მიერ გაცემულ დოკუმენტებში სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პრაქტიკის, გენდერული დისფორიის დასამკვიდრებლად,<sup>58</sup> 2015 წელს კი იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო აქტების სქესის ჩანაწერში ცვლილებასთან დაკავშირებული პროცედურული წესის შესამუშავებლად.

მიუხედავად აღნიშნული რეკომენდაციებისა, საკითხის სამართლებრივი რეგულირება არ შეცვლილა, ამას კიდევ უფრო ამძაფრებს იუსტიციის მინისტრის შეფასებები, რომლებიც საჯაროდ გავრცელდა ტრანსგენდერი პირების სქესის აღიარების წესთან დაკავშირებით და რაც კიდევ უფრო აღრმავებს ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ საზოგადოებაში არსებულ სტიგმას, ხელს უწყობს ლგბტ თემის ინსტრუმენტალიზაციას, რაც კლასიკური გაგებით წარმოადგენს პოლიტიკური ჰომოფობიის კლასიკურ შემთხვევას.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციაში, რომელიც კომიტეტმა მე-4 და მე-5 ანგარიშების განხილვის შედეგად მოამზადა, აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები ტრანსგენდერი პირების გენდერის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვების აღმოსაფხვრელად. კომიტეტი სახელმწიფოს მოუწოდებს, მიიღოს ზომები ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ლესბოსელი ქალების მიმართ ძალადობასა და შევიწროებასთან დაკავშირებით, ასევე გააუქმოს ტრანსგენდერი პირების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების პროცესში არსებული ნორმები.<sup>59</sup>

ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტის რეკომენდაციაში, 2010 (5) რომელიც ადგენს გენდერის სამართლებრივი აღიარების წესებს, აღნიშნულია, რომ ტრანსგენდერი პირების გენდერის სამართლებრივი აღიარება ითვალისწინებს ძალადობრივი მოთხოვნების გაუქმებას და პროგრესული მიდგომის დამკვიდრებას, რაც დაეყრდნობა დიაგნოზსა და სამედიცინო პროცედურებს და გამორიცხავს იძულებით სტერილიზაციის ვალდებულებას.<sup>60</sup>

<sup>57</sup> იხ. ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა, სახალხო დამცველის აპარატი, 2016, გვ. 47.

<sup>58</sup> იხ. ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2013 წელი.

<sup>59</sup> Concluding observations on the combined fourth and fifth periodic reports of Georgia:

<http://docstore.ohchr.org/SelfServices/FilesHandler.ashx?enc=6QkG1d%2FPPRiCAqhKb7yhslidCrOIUTvLRFDjh6%2F1pWDqKYdAsZC%2FpTG5mONu7rLEgGDzc4uYj4EX9q0OwgEtzAerYJ0NdpVEHSESZXwGVYxjsz8OaUw6uLeEqhG0qBpr7G2F1eAhw8U9lp5arMXA%3D%3>

<sup>60</sup> იხ. გენდერული თანასწორობა საქართველოში, ბარიერების და რეკომენდაციები, 2018 წელი, იანვარი, გვ. 103.



1989 წლის 12 სექტემბერს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია (No C 256/33-37) ტრანსსექსუალი პირების დისკრიმინაციისგან დასაცავად. რეზოლუცია წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, გადადგან ნაბიჯები ტრანსსექსუალი პირების დასაცავად, მათ შორის, მიიღონ საკანონმდებლო ნორმები, რაც საკანონმდებლო დონეზე განამტკიცებს აღნიშნულ პრინციპს.

### 3. სახელმწიფოს პოლიტიკა გენდერული და სექსუალური ნიშნით განხორციელებულ ძალადობასთან

#### 3.1 სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და საერთაშორისო სტანდარტები

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ევროპის ქვეყნებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელეს ლგბტ პირთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად. დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ შემუშავდა რეკომენდაციები ევროკავშირის, ევროპის საბჭოსა და გაეროს მიერ.

ტერმინი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები დამკვიდრდა 1985 წელს აშშ-ს კონგრესის წარმომადგენლობით პალატაში კანონპროექტის, „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკის აქტის“, წარდგენის შემდეგ. აღნიშნული კანონპროექტი ითვალისწინებდა მართლმსაჯულების დეპარტამენტს შეესწავლა და ეწარმოებინა რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური ნიშნით მოტივირებული დანაშაულების ბუნებასა და რაოდენობასთან დაკავშირებით ინფორმაცია. იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი 1990 წლების შემდეგ გაჩნდა. ერთ-ერთი სტატია, რომელიც ლგბტ პირთა მიმართ განხორციელებულ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს პირველად შეეხებოდა, აღწერდა ძალადობის სიმპტომებს და მის თანამდევ ზიანს.<sup>61</sup>

2008 წლის 18 დეკემბერს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 66 სახელმწიფო შეუერთდა განცხადებას, რომლითაც დაიგმო სექსუალური და გენდერული იდენტობის საფუძველზე განხორციელებული ძალადობა, მათ შორის, ამ ნიშნით განხორციელებული მკვლელობა, გაუპატიურება, წამება, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და ჯანმრთელობის უფლების შეზღუდვა.<sup>62</sup>

<sup>61</sup> James B. Jacobs; Kimberly Potter, Hate Crimes: Criminal Law & Identity Politics: <https://www.questia.com/read/91850745/hate-crimes-criminal-law-identity-politics>

<sup>62</sup> Recommendation [CM/Rec\(2010\)5](#) of the Committee of Ministers to member states on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity (Adopted by the Committee of Ministers on 31 March 2010)

2012 წელს ევროპარლამენტმა და ევროპის საბჭომ მიიღო დირექტივა (2012/29/EU), რომლითაც განისაზღვრა მინიმალური სტანდარტები მსხვერპლთა დასაცავად და დასახმარებლად. დირექტივის მიზანია, მოხდეს სისხლის სამართალწარმოებაში მსხვერპლთა მხარდაჭერა და მათთვის დაცვის სათანადო გარანტიების შეთავაზება. დირექტივა ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ ძალადობის მსხვერპლებისთვის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე სერვისების მიწოდება.<sup>63</sup>

დირექტივა გენდერულ ძალადობად მიიჩნევს ქმედებას, რომელიც მიმართულია პირთა მიმართ მათი გენდერული იდენტობის, გენდერული თვითგამოხატვის (გარეგანი მანიფესტაციისა) ან გენდერული არაკონფორმულობის გამოვლენისას.

ეთოს პრინციპები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს განმარტავს, როგორც დანაშაულებრივ აქტს, რომელსაც გააჩნია კონკრეტული ჯგუფის მიმართ ზიანის მიყენების მოტივი. იმისთვის, რომ მოხდეს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად კონკრეტული ქმედების მიჩნევა, აღნიშნული უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი კანონმდებლობით, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს, ხოლო მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედება მოტივირებული უნდა იყოს მსხვერპლის მიკუთვნებით კონკრეტული ჯგუფის მიმართ.<sup>64</sup>

მსხვერპლის ნაგარაუდები მიკუთვნება კონკრეტულ ჯგუფთან შესაძლებელია, გამომწვეული იყოს საზოგადოებაში არსებული წინასწარი უარყოფითი მოსაზრებების, სტერეოტიპული განწყობების, შეუწყნარებლობისა ან კონკრეტული ჯგუფის მიმართ არსებული სიძულვილის გამო, რაც ამ ჯგუფის ძირითადი მახასიათებლებით არის განპირობებული, კერძოდ: რასა, რელიგია, მოქალაქეობა, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა თუ სხვა ფუნდამენტური მახასიათებლები.

2010 წლის 31 მარტს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო წევრი სახელმწიფოებისთვის რეკომენდაცია გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე განხორციელებული დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. რეკომენდაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ აქტს, რომელიც განსაზღვრავს განგრძობადი და რთული ფორმით გამოხატული დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებს.<sup>65</sup> რეკომენდაცია ხაზს უსვამს სამ მნიშვნელოვან გარემოებას:

1. ადამიანის უფლებების უნივერსალურობისა და საყოველთაობის პრინციპის გავრცელებას ლგბტ პირთა მიმართ;

<sup>63</sup> DIRECTIVE 2012/29/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 October 2012

<sup>64</sup> Working with Victims of Anti-LGBT Hate Crimes, A Practical Handbook, P. 16.

<sup>65</sup> Council of Europe to advance human rights for lesbian, gay, bisexual and transgender persons”:

<https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1607163&Site=DC&BackColorInternet=F5CA75&BackColorIntranet=F5CA75&BackColorLogged=A9BACE> (last consulted on 7 September 2012)

2. აღიარებს ლგბტ პირთა არსებული განგრძობადი დისკრიმინაციის ფაქტს, მათი გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე;

3. აღგენს ძალადობისა და დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად კონკრეტულ ზომებს წევრი სახელმწიფოებისთვის.<sup>66</sup>

სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების *ეფექტური, სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება*. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიიმართოს იმ შემთხვევების შესწავლისკენ, რომელიც სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ არის ჩადენილი, რათა გამოირიცხოს დამნაშავეთა დაუსჯელობის წახალისება ამგვარი სასტიკი მოპყრობისა და დევნის მიმართ.

ნებისმიერი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, რომელიც გენდერული და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზეა ჩადენილი, უნდა იყოს დოკუმენტირებული და აღრიცხული სამართალდამცავი ორგანოების მიერ. ამ მიზნით წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს სამართალდამცავი და მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანოების მომზადებას, ერთი მხრივ, მოხდეს მსგავსი ფაქტების იდენტიფიცირება, ხოლო, მეორე მხრივ, დაზარალებულთა და მონმეთათვის შესაბამისი დახმარების განწევა.<sup>67</sup>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებმა უზრუნველყონ სექსუალური ორიენტაციისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გათვალისწინება დამამძიმებელ გარემოებად; ასევე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ლგბტ პირთა თავისუფლების, ღირსების უფლების დაცვა და მათ წინააღმდეგ განხორციელებული ფიზიკური შეურაცხყოფის, გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების აღკვეთა; ტრანსგენდერი პირების გენდერული იდენტობის პატივისცემა და მათთვის ადეკვატური დაცვის გარანტიების შეთავაზება. ყურადღება უნდა დაეთმოს გენდერული იდენტობის და სექსუალური ორიენტაციის მოტივის საფუძველზე განხორციელებული ძალადობრივი ფაქტების ანალიზს და ამ მიმართულებით სტატისტიკის წარმოებას მსგავსი დანაშაულების ხილვადობის გასაზრდელად.<sup>68</sup>

დისკრიმინაციის აკრძალვისა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ეფექტური ბრძოლის ვალდებულება გამომდინარეობს არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებიდან,

<sup>66</sup> Report on implementation of the Recommendation CM/Rec(2010)5 of the Committee of Ministers of the Council of Europe on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity, P.7

<sup>67</sup> Recommendation [CM/Rec\(2010\)5](#) (2010)5 of the Committee of Ministers of the Council of Europe on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity;

<sup>68</sup> იქვე;

რომლებიც სახელმწიფოს აკისრებს პირდაპირ ვალდებულებას, არა მხოლოდ მოახდინოს გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით განხორციელებული დისკრიმინაციული ქმედებების აკრძალვა, არამედ მსგავსი დანაშაულების გამოძიებისას მოტივი, როგორც დამამძიმებელი გარემოება, გაითვალისწინოს სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც 1950 წლის 4 ნოემბერს იქნა მიღებული, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, მიიღონ საჭირო ზომები, რაც ხელს შეუწყობს სრული და ობიექტური თანასწორობის განმტკიცებას. დისკრიმინაციასთან ბრძოლის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმიც.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ 13 მომჩივანი აცხადებდა, რომ 2012 წლის 17 მაისს შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა ისინი კონტრდემონსტრანტების ძალადობრივი თავდასხმისგან ვერ დაიცვა და ითხოვნენ მომხდარი ფაქტების სათანადო გამოძიებასა და სიძულვილის დისკრიმინაციული მოტივის დადგენას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე განმარტა: *[...] აუცილებელი იყო 2012 წლის 17 მაისს განხორციელებული თავდასხმის დისკრიმინაციული საფუძვლის შესახებ სრულყოფილი გამოძიების ჩატარება, ერთი მხრივ, ლეგტ საზოგადოების მიმართ არსებული მტრული დამოკიდებულებისა და, მეორე მხრივ, თავდამსხმელების მიერ წარმოთქმული ცალსახად ჰომოფობიური სიტყვიერი შეურაცხყოფის მიზეზის დასადგენად.*

*სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მართლმსაჯულების აღსრულების მიმართ ასეთი მკაცრი მიდგომის გარეშე დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების ჩვეულებრივი დანაშაულების, ანუ რომელსაც დისკრიმინაციული მოტივი არ გააჩნია, რიგად იქნება განხილული, რაც სიძულვილით განპირობებულ დანაშაულებზე ოფიციალური ან თუნდაც მასზე დუმილით გამოხატული ოფიციალური თანხმობის ტოლფასია.“*

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ხელისუფლების მხრიდან სიძულვილის მოტივით განპირობებული ძალადობრივი ფაქტების, დისკრიმინაციული მოტივისა და ძალადობის ფაქტს შორის შესაძლო კავშირის უგულებელყოფას განიხილავს არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის, არამედ კონვენციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევად. ამისთვის სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს მოცემულ შემთხვევაში არსებული ყველა გონივრული საშუალება და კონკრეტული საქმის გადანყვეტის დროს არ დატაროს ისეთი მოტივები, რაც გამოავლენს ძალადობის რასობრივი, რელიგიური ან გენდერული დისკრიმინაციულ ხასიათს.<sup>69</sup>

<sup>69</sup> ECtHR, NACHOVA AND OTHERS v. BULGARIA, პარ. 160

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე, Begheluri and Other განმარტა, რომ სიძულვილით ჩადენილი ფაქტების დისკრიმინაციული ქვეტექსტის დამალვა პირდაპირ ავლენს ამ ქმედების მნიშვნელოვანი მახასიათებლის მიმართ სახელმწიფოს გულგრილ დამოკიდებულებას, რაც არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და წინააღმდეგობრივია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.<sup>70</sup>

ევროპულმა სასამართლომ M.C. and A.C. (2017) საქმეზე გვიმარტა, რომ მარშის დროს გამოვლენილი ჰომოფობიური მოტივის გამო განხორციელებული თავდასხმისა და ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, სადაც განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ ხელისუფლება არ ჩაატარა ობიექტური გამოძიება, დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა დარღვევა.<sup>71</sup>

### 3.2. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები საქართველოს კანონმდებლობაში

2012 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლში განხორციელებული ცვლილებებით სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად დადგინდა დანაშაულის ჩადენა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო, ასევე ნებისმიერი ნიშნით გამოვლენილი შეუწყნარებლობის მოტივი განისაზღვრა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად სისხლის სამართლებრივი დანაშაულებისთვის.<sup>72</sup>

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების განხორციელების შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაცია „ილგა ევროპა“ (ILGA) შემდეგი კომენტარი გააკეთა აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით:

*„2012 წლის მარტში სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში შეტანილი იქნა ცვლილება, რომელიც სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის შეუწყნარებლობის საკითხს ეხებოდა. ჰომოფობიური და ტრანსფობიური მოტივი მიიჩნევა უკვე დანაშაულის ჩადენის დამამძიმებელ გარემოებად დამნაშავის მიმართ სასჯელის ზომის შეფარდებისას. ეს საკანონმდებლო ცვლილება იქნა მიღებული რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართული ევროპული კომისიის რეკომენდაციის პასუხად. თუმცა, მთავრობამ არ მიიღო ამ დებულების ეფექტურად იმპლემენტაციისათვის საჭირო ისეთი ზომები, როგორცაა საპარტოლო პოლიციის ოფიცრების მომზადება ან სამართალდამცავ ორგანოებსა და ლგბტ*

<sup>70</sup> ECtHR, BEGHELURI AND OTHERS v. GEORGIA JUDGMENT, პარ. 173.

<sup>71</sup> ECtHR, M.C. and A.C. v. Romania, პარ. 123-126.

<sup>72</sup> იხ. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53<sup>1</sup> შემდეგ გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=205>

თემს შორის ნდობის განმტკიცება, რათა დაზარალებულებმა შემთხვევების შეტყობინების შემთხვევაში თავი დაცულად იგრძნონ.<sup>73</sup>

2014 წელს შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა მითითება შსს-ს დანაყოფების მიერ დისკრიმინაციის პრევენციისა და ამ ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, აღნიშნული მითითების მიღება საქართველოს მთავრობის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის ეფექტიანი შესრულების უზრუნველყოფის მიზნით იქნა მიღებული. მითითების საფუძველზე საგამოძიებო დანაყოფებს დაევალოთ შეუწყნარებლობის მოტივისა და დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის „შესაძლო“ არსებობის შესახებ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის შესაბამის ველში - „დანაშაულის ფაბულაში“ მითითება, რაც უზრუნველყოფდა დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების შესახებ სპეციალური სტატისტიკის სრულყოფას. აღნიშნული მითითების შესრულებაზე კონტროლი შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას დაევალა.<sup>74</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში 53<sup>1</sup> მუხლი სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს დანაშაულებს, რომლებიც სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის საფუძველზე არის ჩადენილი, სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების პროცესში გამოიკვეთა არაერთი ფაქტი, როცა საგამოძიებო ორგანოების მიერ არ მოხდა დანაშაულის მოტივის დადგენა და შემდეგად დაწყებული გამოძიება შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.<sup>75</sup> ზოგ შემთხვევაში საქმის წარმოება აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე გაგრძელდა, რაც სიძულვილის მოტივის, როგორც მაკვალიფიცირებელ ნიშანს ან დამამძიმებელ გარემოებას, არ ითვალისწინებს.<sup>76</sup>

სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშში საუბარია საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ბუნდოვან სტანდარტზე. მაგალითად, სიძულვილის მოტივის გამოკვეთა ვერ მოხერხდა საქმეზე, რომელშიც ტრანსგენდერი ადამიანები მიუთითებდნენ, რომ ქუჩაში ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლნი გახდნენ. ასევე ვერ დადგინდა სავარაუდო

<sup>73</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე "იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ", პრ. 39;

<sup>74</sup> იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-ministria-diskriminatsiis-preventsisa-da-am-nishnit-chadenil-samartaldarghvevbeze-efeqiani-reagirebis-miznit-shss-s-danakofebistvis-akhali-direqtivebi-gamosta/7565>

<sup>75</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2017, გვ. 32.

<sup>76</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2016 წელი, თბილისი, 486.

დისკრიმინაციული მოტივი საქმეზე, რომელშიც განმცხადებელი მიუთითებდა მის მიმართ განხორციელებული სავარაუდო მუქარის შესახებ, რადგან ლგბტ თემის წარმომადგენელთა უფლებებს იცავდა. აღნიშნულ შემთხვევაში გაჩნდა კითხვები, რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა მსგავსი ფაქტების შესწავლის პროცესში.<sup>77</sup>

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 ივლისის №169 დადგენილებით შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებელი უწყებათაშორისი საბჭო, რომელმაც შეიმუშავა 2014-2020 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია.

სტრატეგიის შემუშავების საჭიროება განპირობებული იყო საქართველოში ადამიანის უფლებების სფეროში არსებული გამოწვევებით, რაც ასახული იყო საქართველოში კონსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში ევროკავშირის სპეციალური მრჩეველის, თომას ჰამერბერგის, 2013 წლის ანგარიშში „საქართველო გარდამავალ ეტაპზე“. აღნიშნული რეკომენდაციების მიხედვით, ადამიანის უფლებების უზრუნველსაყოფად საჭირო იყო არა მხოლოდ არსებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, ასევე კანონმდებლობაში არსებული დებულებების პრაქტიკული განხორციელება.<sup>78</sup>

ადამიანის უფლებათა სტრატეგიის მე-12 მუხლით განისაზღვრა თანასწორობის უფლების უზრუნველყოფა და უმცირესობათა დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით კონკრეტული ამოცანები: სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა, აგრეთვე სისხლის სამართლის დანაშაულად მიჩნეული დისკრიმინაციის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფა და სამოქალაქო ცხოვრებასა და სახელმწიფო მართვაში უმცირესობების ინტეგრაცია. აღნიშნული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა კონკრეტული ამოცანები, მათ შორის, ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და დისკრიმინაციის ფაქტებზე შესაბამისი რეაგირება, დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის დარღვეული უფლებების აღდგენა.<sup>79</sup>

საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, სახელმწიფოს ამოცანად განისაზღვრა სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> და 142-ე მუხლების ეფექტიანი აღსრულებისა და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების დროული და ეფექტიანი გამოძიების წარმართვა, ასევე სისხლის

<sup>77</sup> იქვე.

<sup>78</sup> იხ. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014-2020 წლებისთვის) შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2348314?publication=0>

<sup>79</sup> იხ. იქვე.

სამართლებრივი დევნის შესახებ დადგენილებებში სიძულვილის შესაძლო მოტივის გათვალისწინებული პრაქტიკის დანერგვა.<sup>80</sup>

დისკრიმინაციისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლის სამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდისთვის 2018-2020 წლების საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის მე-8 პუნქტითაც დადგინდა კონკრეტული ამოცანები დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლის სამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა სტრატეგიისა და სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიხედვით სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად განისაზღვრა ცალკეული ამოცანების შესრულება და ამასთან მოხდა უფლებამოსილი უწყებების განსაზღვრა გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესასრულებლად, ჯერ კიდევ არ არის შესრულებული სახელმწიფოს მიერ დასახული ამოცანები. მათ შორის, არ არის შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპები გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით განხორციელებული ძალადობის ეფექტიანი გამოძიების წარსამართად. საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა სამმართველოს მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების, პრაქტიკაში ასამოქმედებლად შემუშავდა რეკომენდაცია, თუმცა აღნიშნული არ ითვალისწინებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების კლასიფიკაციას, გამოძიების მიმდინარეობას, მტკიცებულებების მოპოვების, ასევე სტატისტიკის შეგროვების საკითხებს.<sup>81</sup>

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის საკითხებზე ეუთოს დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიშში აღნიშნულია:

*[...]საჯარო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მთლიანობაში შეფასებისას, აღმოვაჩინე, რომ ისინი კარგ საფუძველს ქმნის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიადაგზე დისკრიმინაციისა და ძალადობის აღმოფხვრის ფართომასშტაბიანი სტრატეგიისთვის. თუმცა, სამწუხაროდ, დასახული მიზნების დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული და მხოლოდ მათ მცირე ნაწილთან დაკავშირებით შეინიშნება უმნიშვნელო პროგრესი, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად აფერხებს სახელმწიფოს მიერ დასახული ამოცანების შესრულებას. ჩემს*

<sup>80</sup> იხ. ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ დადგენილება N338, <https://matsne.gov.ge/ka/document/download/3350412/0/ge/pdf>

<sup>81</sup> იხ. ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიში, თბილისი 2018, გვ. 115;



*ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ჯერ კიდევ მომზადების სტადიაზეა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის ის ნაწილი, რომელიც თანასწორობას ეხება.*“

### 3.3. გენდერული და სექსუალური ნიშნით განხორციელებული დისკრიმინაციის საქმეებზე არსებული გამონკვევები

#### 3.3.1. გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ

2017 წლის 20 მარტს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართეს ლევან ბერიანიძემ და გოჩა გაბოძემ. სადავო აქტს წარმოადგენდა „სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის ბრძანების N1 დანართის 24-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლითაც „მამაკაცის სქესობრივი კავშირი მამაკაცთან წარმოადგენს ქცევას, რომელიც შეიცავს სისხლის გზით გადამდები დაავადებების შეძენის მაღალ რისკს და მიიჩნევა სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის აბსოლუტურ წინააღმდეგ ჩვენებად.

კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, მოსარჩელები საკუთარ თავს ჰომოსექსუალებად აიდენტიფიცირებდნენ, შესაბამისად, ნორმა მათ უკრძალავდა სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის განხორციელებას. აღნიშნულ წრეში ასევე ექცეოდნენ ჰომოსექსუალი, ბისექსუალი და ჰეტეროსექსუალი პირები, რის გამოც დიფერენცირების საფუძველს წარმოადგენდა სექსუალური ქცევა აღნიშნულ პირებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ნორმას გააჩნდა ლეგიტიმური საჯარო მიზანი, რეციპიენთთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, დასახული მიზნის მისაღწევად დადგენილი წესი არ წარმოადგენდა მიზნის მიღწევისთვის არსებულ თანაზომიერ საშუალებას. გარკვეული პერიოდის შემდეგ ე.წ. „ფანჯრის პერიოდის“ მიღმა შესაძლებელი იყო დონორის სისხლის შემონახვით იმის დადგენა, პირს სისხლის გზით გადამდები დაავადება ჰქონდა თუ არა, რაც წარმოადგენდა არაპროპორციულ ჩარევას პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცულ სფეროში და ასევე თავისი არსით დისკრიმინაციული იყო. მოსარჩელები განმარტავდნენ, რომ სადავო ნორმა წარმოადგენდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების დამძლე ნორმას, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით არსებული შეზღუდვა მიიჩნია ძირითად უფლებებში მაღალი

ინტენსივობით ჩარევად. გასაჩივრებული ნორმის საფუძველზე კი იმავე უფლების იდენტური საშუალებებით და სამართლებრივი შედეგებით შეზღუდვა ხდებოდა.<sup>82</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმით სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციის ბლანკეტურად, განუსაზღვრელი ვადით შეზღუდვა სარისკო ქცევის მქონე პირებისთვის მიიჩნია თანაზომიერების პრინციპის შეზღუდვად. ამასთან სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციის პროცესში ნორმის დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში აღნიშნული საკითხის სამართლებრივი მონესრიგების გარეშე დატოვებამ, შესაძლებელია, სერიოზული საფრთხე შეუქმნას ადამიანების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, შესაბამისად, ე.წ. იმუნოფერმენტული მეთოდი, რომელიც ამ დროისთვის საქართველოში გამოიყენება, ვერ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ ვირუსების აღმოჩენა ადრეულ ეტაპზე მომხდარიყო. საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია იმგვარი რეგულაცია დანერგულიყო, რაც უზრუნველყოფდა პროცესის უსაფრთხოებას და მხედველობაში იქნებოდა მიღებული „ფანჯრის პერიოდის“ ის ხანგრძლივობა, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა, ერთი მხრივ, რეციპიენთთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვა, და ასევე ბლანკეტურად არ შეიზღუდებოდა ადამიანის უფლებები. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება გადაავადა 2017 წლის ნოემბრამდე, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად სახელმწიფოს მისცემდა შესაძლებლობას, დაენერგა ახალი წესი.<sup>83</sup>

### 3.1.2. საქართველოს მოქალაქე ნოდარ გოგატიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2017 წლის 14 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა ნოდარ გოგატიშვილმა. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სისხლის სამართლებრივი სასჯელის მოხდის მიზნით იმყოფებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში. იგი თვითიდენტიფიცირებას ახდენდა, როგორც ჰომოსექსუალი. პატიმრობის კოდექსის მე-17<sup>2</sup> მუხლი, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პირების ხანგრძლივი პაემნის უფლებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს განსაზღვრავს, ხოლო აღნიშნული ნორმის მე-2 ნაწილი, რომელიც მსჯავრდებულებთან ხანგრძლივი პაემნის უფლების მქონე პირთა წრეს ადგენს, შესაძლებლობას არ აძლევს ჰომოსექსუალ პირებს, ისარგებლონ მის პარტნიორ მამაკაცთან ხანგრძლივი პაემნის უფლებით.

<sup>82</sup> იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქეები - გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ;

<sup>83</sup> იქვე;

მოსარჩელის განმარტებით, კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიზანს სახელმწიფოს მიერ თანასწორ მდგომარეობაში მყოფი პირების თანასწორი მოპყრობის გარანტირება წარმოადგენს. სადავო ნორმა კი პირდაპირ არღვევს აღნიშნულ პრინციპს და დისკრიმინაციულად ზღუდავს არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე პირებს ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობისას. სადავო ნორმის დისკრიმინაციული ხასიათის გამოსავლენად მოსარჩელე გამოყოფდა ორ შესადარებელ ჯგუფს. ერთი მხრივ, იგი დისკრიმინაციულ მდგომარეობაში მიიჩნევდა საკუთარ თავს იმ ჰეტეროსექსუალ პირებთან შედარებით, რომელთა მეუღლეებსაც გააჩნდათ ხანგრძლივი პაემნის უფლება. მოსარჩელის განმარტებით, ერთი და იგივე სქესიან პირებს ერთმანეთისგან შვილის გაჩენის შესაძლებლობა არ აქვთ, რის გამოც ჰეტეროსექსუალი წყვილებისთვის, რომელთაც ჰყავთ საერთო შვილი, ხანგრძლივი პაემნის უფლების მინიჭება წარმოადგენს არსებითად უთანასწორო პირების თანასწორ მოპყრობას.<sup>84</sup>

ამასთან ნორმა წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან, რომელიც პირის ოჯახურ და სხვა პერსონალურ კავშირებს იცავს. გამომდინარე იქედან, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფ პირებს ხანგრძლივი პაემნის უფლება აღნიშნული მუხლით აქვთ გარანტირებული. კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულია, რომ მართალია, პატიმრობა თავისი არსით გარკვეული უფლებების შეზღუდვას გულისხმობს, მათ შორის, პირადი ცხოვრების უფლებისაც, სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვას არ გააჩნია ლეგიტიმური საჯარო მიზანი, კერძოდ, არ ემსახურება უსაფრთხოების, დანაშაულისა და სხვა პირთა უფლებების დაცვას, კონსტიტუციურ წესრიგს და სხვა ლეგიტიმურ საზოგადოებრივ ინტერესებს.

85

საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და სადავო რეგულაციის მიმართება ვერ დაინახა უშუალოდ მსჯავრდებულის სექსუალური ორიენტაციისა ან პიროვნებასთან დაკავშირებულ რამე სხვა გარემოებებთან, არამედ მიიჩნია პირის სოციალური კავშირის სამართლებრივად დადასტურების შესაძლებლობად.

სასამართლომ განმარტა, რომ [...]სადავო ნორმის საფუძველზე ჰომოსექსუალ პირს შეუძლია, ხანგრძლივი პაემნის უფლებით ისარგებლოს მშობლებთან, ბებიასთან, პაპასთან, დასთან, ძმასთან. აღსანიშნავია, რომ ჰეტეროსექსუალი პირები, ჰომოსექსუალი პირების მსგავსად, ვერ შეძლებენ ხანგრძლივი პაემნის უფლებით ისარგებლონ ადამიანთან, ვისთანაც გააჩნიათ მტკიცე, თუმცა სამართლებრივად დაუდასტურებელი სოციალური კავშირი. წარმოდგენილი არგუმენტები ასევე ვრცელდება საერთო შვილის ყოლაზეც. ბუნებრივია, ამ დროს განცალკევებით არსებობს ბავშვის ინტერესები, თუმცა საერთო შვილის ყოლა აგრეთვე

<sup>84</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისი გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ნოდარ გოგატიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, გვ.2;

<sup>85</sup> იხ. იქვე;

არის მტკიცე სოციალური კავშირის დადასტურების ერთ-ერთი გარემოება. მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია არც ერთი არგუმენტი, რომელიც დაასაბუთებდა, რომ ჰეტეროსექსუალთა მსგავსად, ჰომოსექსუალ პირებს შეუძლიათ რომელიმე იდენტური სოციალური კავშირის სამართლებრივად დადასტურება და, მიუხედავად ამისა, მათ არ გააჩნიათ ხანგრძლივი პაემნის უფლება. ბუნებრივია, მოსარჩელე არ არის შემლუღელი, ცალკე იდავოს რომელიმე სოციალური კავშირის სამართლებრივი აღიარების თაობაზე, თუმცა ხსენებული საკითხი არ წარმოადგენს განსახილველი კონსტიტუციური სარჩელის დავის საგანს.“

სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე ასევე იმსჯელა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის შინაარსზე და აღნიშნულის მიმართებაზე სადავო ნორმატიულ აქტთან. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-16 მუხლი თავისი შინაარსით მატერიალური უფლებაა. აღნიშნული უფლებისა და გასაჩივრებული ნორმატიული აქტის კავშირი იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ დასაბუთდება, რომ სადავო ნორმა ადგენს შემლუღვას მატერიალური უფლებით სარგებლობის პროცესში. სასამართლომ პატიმრობის კოდექსის მე-17<sup>2</sup> მუხლი თავისი არსით აღმჭურველი ხასიათის ნორმად მიიჩნია და ნორმით განსაზღვრული წესი არ განმარტა, როგორც აკრძალვა ხანგრძლივი პაემნის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით.<sup>86</sup>

### 3.1.3 პატივისა და ღირსების შელახვა სიმბოლურ ფასად

2018 წლის 3 აპრილს, ტელეკომპანია კავკასიის გადაცემაში, „ბარიერი“, არასამთავრობო ორგანიზაცია “თანასწორობის მოძრაობის” აღმასრულებელი დირექტორი, ლევან ბერიანიძე, ჩაერთო დებატებში. საუბარი ეხებოდა სხვადასხვა საკითხს, მათ შორის ლგბტ პირთა უფლებებს. დისკუსიის მიმდინარეობისას ბესო დანელიამ, რომელიც ასევე გადაცემის ერთ-ერთი მონაწილე იყო, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაცენა ლევან ბერიანიძეს და მას შემდეგი ფორმით მიმართა: „შენ ხარ უბრდელი და ხარ კიდე პედარასტი“. მან ასევე სცადა ლევან ბერიანიძეზე ფიზიკური თავდასხმა და მუქარის შემცველი სიტყვები გააუღერა მის მიმართ.

ლევან ბერიანიძემ სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში პატივისა და ღირსების შელახვის გამო და ითხოვდა ბესო დანელიას მიმართ თავის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 500 ლარის ოდენობით თანხის დაკისრებას.

მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მისი პატივისა და ღირსების შელახვას, რაც გამოიხატა ბესო დანელიას მიერ მის მიმართ ღირსებისა და რეპუტაციის შელახავი მიმართვის გამოყენებაში. მოპასუხის მიერ გამოყენებული სიტყვა

<sup>86</sup> იხ. იქვე

„პიდარასტი“ წარმოადგენდა გამოხატვის ისეთ ფორმას, რომელიც მიმართულია ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიმართ შეურაცხყოფისა და დამცირებისკენ, რაც გამონწვეული იყო მისი სოციალური მიკუთვნებულობის გამო, კერძოდ მოპასუხისთვის ცნობილი იყო მოსარჩელის სექსუალური ორიენტაციის შესახებ.

სასამართლოს განმარტებით, [...]სასარჩელო მოთხოვნას არაქონებრივი ზიანის სახით 500 ლარის დაკისრება წარმოადგენს. თუმცა, მოსარჩელემ თვითონ განმარტა, რომ მისი არსებითი ინტერესი სწორედ მოპასუხის ქცევის არამართლმომიერი ხასიათის დადგენაში და არა თანხის ოდენობაში მდგომარეობს. ამავე დროს, სასამართლო ითვალისწინებს იმ მოცემულობას, რომ სადავო განცხადება გაკეთდა არა ყოველგვარი წინაპირობების გარეშე (ასე ვთქვათ „მონშენდილ ცაზე“), არამედ მას წინ უძლოდა ცხარე კამათი (იხ. ფაქტობრივი გარემოება 3.1.2.); ამავე დროს, მთელი სამართალწარმოების განმავლობაში მოპასუხე განმარტავდა, რომ მას არ სურდა შეგნებულად მიეყენებინა შეურაცხყოფა მოსარჩელისათვის და მზად იყო, მორიგების გზით გადაეწყვიტა ეს კონფლიქტი (რასაც მოსარჩელე არ დაეთანხმა). ზემოთ უკვე ვახსენეთ ეგილ ეინარსონის საქმე ევროპულ სასამართლოში; ამ საქმის კიდევ ერთი საინტერესო სპეციფიკა ჩვენთვის ის გახლდათ, რომ ევროპული სასამართლოს განმარტებით, მე-8 მუხლის დარღვევის აღიარება საკმარისი რესტიტუცია 10 გახლდათ განმცხადებლისათვის და ამიტომ აღარ არსებობდა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების საჭიროება.”

სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება დააკმაყოფილა ნაწილობრივ და არაქონებრივი ზიანის სიმბოლური დაკმაყოფილება, კერძოდ მოსარჩელისთვის მორალური ზიანის, 1 ლარის დაკისრება მიიჩნია დარღვევის აღიარების და მოსარჩელის იურიდიული ინტერესის დაკმაყოფილებისთვის საკმარის საფუძვლად, რაც ცალსახად წარმოაჩინს სასამართლოს გულგრილ დამოკიდებულებას ლგბტ პირთა მიმართ განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფისა და ჰატევისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის მიმართ. მსგავსი გადაწყვეტილებები ხანგრძლივ პერსპექტივაში ხელს შეუწყობს საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური თუ ტრანსფობიური განწყობების გაღვივებას, რაც ცალსახად დისკრიმინაციული ხასიათისაა.

### 3.1.3 სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან არსებული პრობლემები

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით განსაკუთრებით პრობლემურია სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი რეაგირების ზომები. უმეტეს შემთხვევაში შსს-ს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ ჰომოფობიურ ან ტრანსფობიურ დანაშაულებთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა დანაშაულების კვალითუკაციათან დაკავშირებით ვერ ასახავს დანაშაულის სიმძიმეს და არ არის თანაზომიერი მსხვერპლის მიერ განცდილ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ზიანთან.

მაგალითად, 2018 წლის 12 ნოემბერს ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ოთხმა პირმა ორ ტრანსგენდერ ქალს გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. შსს-ს განმარტებით, გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის საფუძველზე დაიწყო.<sup>87</sup>

2018 წლის 15 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, გამოძიების შედეგების საფუძველზე ბათუმში გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ძალადობის ფაქტზე ტრანსგენდერი ქალის მიმართ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის საფუძველზე დაიწყო.<sup>88</sup>

იდენტური იყო შსს-ს მიდგომა ტრანსგენდერი ქალის, მირანდა ფაღავას მიმართ 2018 წლის 28 იანვარს თბილისში განხორციელებულ ძალადობრივ თავდასხმასთან დაკავშირებით. მირანდა ფაღავას განცხადებით, მას 28 იანვარს თავს დაესხნენ და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. თავდასხმის შედეგად მას ჰქონდა სხეულის დაზიანებები. თავდამსხმელმა ასევე გამოიყენა ტრანსფობიური სიძულვილის ენა მის მიმართ.<sup>89</sup> შსს-ს განცხადებით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი ძალადობის ბრალდებით მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს თავდამსხმელი პირი. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის საფუძველზე<sup>90</sup> მიმდინარეობს.

სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი დანაშაულად მიიჩნევს ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, რაც დაზარალებულის მიმართ ფიზიკურ ტკივილს იწვევს, რაც სასჯელის სახით ერთ წლამდე პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, განსხვავებით სსკ-ის 144<sup>3</sup> მუხლისგან, რაც დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობისთვის ადგენს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ქმედება ითვალისწინებს პირის დამცირების, იძულების ან არაადამიანური, პატივისა და ღირსების შემლახავი მდგომარეობაში მსხვერპლის ჩაყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქმედებად კვალიფიკაციისთვის პირის მიმართ არა მხოლოდ ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ან მორალური ტანჯვის მიყენებაც მიიჩნევა დანაშაულებრივ ქმედებად, განსხვავებით სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლისგან. ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლი დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათ შორის რასის, კანის ფერის, ენის, სქესის ან რელიგიისადმი დამოკიდებულებების, ან სოციალური კუთვნილების გამო მსგავსი სახის ძალადობრივი ქმედების ჩადენას.

<sup>87</sup> იხ. ინფორმაცია: <https://bit.ly/2VfXCLA>

<sup>89</sup> იხ. განცხადება: <https://sapari.ge/archives/5112>

<sup>90</sup> იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-diskriminatsiuli-motivit-chadenili-dzaladobis-braldebit-erti-piri-daakava/11426>;

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, 2018 წელს სქესის/გენდერის საფუძველზე სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელდა სისხლის სამართლის კოდექსის 126 მუხლის საფუძველზე 111-დან 62 შემთხვევაში, სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე 15-დან 7 შემთხვევაში, ხოლო გენდერული იდენტობის საფუძველზე 12-დან 10 შემთხვევაში.<sup>91</sup>

უმეტეს შემთხვევაში სასამართლოს მიერ არ ხდება სიძულვილის მოტივის, როგორც დანაშაულის მაკვალიფიკირებელი გარემოების, გათვალისწინება სასჯელის დანიშვნის დროს. მსგავსი მიდგომა დაფიქსირდა სისხლის სამართლის არაერთ საქმეზე. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც 2018 წლის 21 ივნისს, 26 მაისის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე სექსუალური ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით განხორციელებულ ძალადობას შეეხებოდა, კერძოდ, აღნიშნულ შემთხვევაში გ.ქ.-მ რამდენჯერმე გაარტყა სილა ზ.ა.-ს, ფიზიკური ტკივილი მიაყენა და ეს ჰომოფობიურ ნიადაგზე, მისი გარეგნობიდან, ჩაცმულობისა და სექსუალური ორიენტაციიდან გამომდინარე განხორციელდა, არ ჩათვალა მიზანშეწონილად სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის გამოყენება.

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების შემდეგ დაადგინა, რომ ზ.ა.-ის მიმართ განხორციელებული ქმედება წარმოადგენდა სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, ცემას. სასამართლომ ასევე იმსჯელა 53<sup>1</sup>-ე მუხლის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, რაც სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა დანაშაულისთვის.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე განმარტა სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მნიშვნელობა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების იდენტიფიცირების პროცესში და აღნიშნა, რომ *[...] სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების იდენტიფიცირებისა და მათზე სამართლებრივი რეაგირებისთვის, რადგან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, მათი ბუნებიდან გამომდინარე არღვევს ჯგუფების მშვიდობიანი თანაარსებობის, პლურალიზმის და თანასწორობის იდეაზე დაფუძნებული წესრიგის იდეას, შედეგად კი საფრთხეს უქმნის დემოკრატიული და უსაფრთხო გარემოს შექმნას, რომლის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა*. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს არ გამოიყენა აღნიშნული მუხლი და მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში სასჯელის სახედ, ზომად განსაზღვრა ჯარიმა 1 000 ლარის ოდენობით.

<sup>91</sup> იხ. ინფორმაცია: <http://pog.gov.ge/res/docs/sizulviliTmotivirebulidanaSHAulebisanalizi.pdf>, 2/26/2019;

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით, სასამართლომ სასჯელის შეფარდებისას მიუთითა სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში მოხდა სასჯელის შეფარდებისას სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის გამოყენება, დაკისრებული პასუხისმგებლობის ზომა არ იყო აღნიშნული დანაშაულისთვის პროპორციული. საქმე შეეხებოდა კ.ფ-ის მიერ დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით შვილის, გ.ფ-ის მიმართ, სისტემატურად ფიზიკური ძალადობის მიყენების ფაქტს, რაც მისი განსხვავებული შეხედულებების და ჩაცმის სტილით იყო განპირობებული. სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე იმსჯელა ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლის გამოყენების წინაპირობებზე, რაც ადგენს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ოჯახში ძალადობისთვის, კერძოდ ამისთვის სახეზე უნდა იყოს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობის, სისტემატური შეურაცხყოფის, შანტაჟის ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტი, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა გამოიწვია.

სასამართლომ აღნიშნულ შემთხვევაში განმარტა, თუ რა იგულისხმება სისტემურ შეურაცხყოფაში. აღნიშნული წარმოადგენს ქმედებას, რაც ჩადენილია დროის მცირე ინტერვალის დაშორებით და აღნიშნულ პერიოდში არ არის განელეებული ფსიქიკური ტკივილი ყოველ შეურაცხყოფელ ქმედებას შორის. შეურაცხყოფა თავისი არსით ასევე, გულისხმობს დამცირებასაც. აღნიშნულ დროს ოჯახის ერთი წევრი ყოველდღიურ ურთიერთობებში აგრძნობინებს არასრულწლოვანს დამცირებულად თავს, რაც გამოიხატება მის მიმართ ფიზიკური ტკივილის მიყენებაში.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ კ.გ.-ს მიერ შვილის, არასრულწლოვან გ.ფ-ის, მიმართ ჩადენილი ძალადობა დისკრიმინაციის შემცველ, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ქმედებად მიიჩნია, რაც, როგორც სასამართლომ განმარტა, სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს, სასჯელის შეფარდებისას ის ფაქტი, რომ კ.ფ აღიარებდა და ინანიებდა მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, ასევე როგორც აღნიშნულ განაჩენშია საუბარი, [...] *ქმედება გამომდინარეობდა საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციებისა და შვილის აღზრდის მკაცრი წესების გავლენით, რაც ცალსახად არ გამოორიყხავს მის პასუხისმგებლობას, თუმცა სასამართლო ითვალისწინებს მის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის დაწესებული მკაცრი სასჯელის-თავისუფლების აღკვეთით დანიშნული სასჯელი, რაც მას პირობითად უნდა ჩაეთვალოს, გახდება საფუძველი მომავალში მისი საზოგადოებაში უსაფრთხო ინტეგრაციისა და იქნება დამაფიქრებელი ბრალდებულებისთვის.*“ სასამართლომ კ.ფ.-ს გამოსაცდელ ვადად განუსაზღვრა ერთი წელი.

რიგ შემთხვევებში ასევე გამოწვევას წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ლგბტ პირთა მიმართ განხორციელებული არაეთიკური და არასათანადო მოპყრობის ფაქტები. Amnesty International-ის 2018 წლის ანგარიშში საუბარია



2017 წლის 25 აგვისტოს, ბათუმში მომხდარი ძალადობრივი ინციდენტის შესახებ, რაც გამოიხატა პოლიციის მიერ თანასწორობის მოძრაობის წევრების ლ.ბ.-ის და თ.კ.-ს მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში. აღნიშნულ საქმეზე აქტივისტების საჩივრის საფუძველზე გამოძიება დაიწყო, რაც ჯერ კიდევ არ დასრულებულა.<sup>92</sup> სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშში, რომელიც ადამიანის უფლებათა მდგომარეობას აფასებს, აღნიშნულია, რომ [...] საზოგადოებაში კვლავ მყარად ფესვგადგმულია ნეგატიური სტერეოტიპული განწყობები ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიმართ, რაც ინვესტ როგორც მათ მიერ რიგი უფლებებით სარგებლობის ხელშეშლას დისკრიმინაციული მოტივით, ასევე აქეზებს მათ მიმართ ძალადობას. აღნიშნულის ილუსტრაციას წარმოადგენს 2017 წლის 25 აგვისტოს ბათუმში ააიპ „თანასწორობის მოძრაობის“ წევრების ლ.ბ.-ს და თ.კ.-ს მიმართ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტი.“ მსგავსი ინციდენტი დაფიქსირდა მწერალ ზურაბ აბაშიძეზე 21 ივლისს ჰომოფობიურ ნიადაგზე განხორციელებული თავდასხმის დროს. როგორც სოციალურ ქსელში ზურაბ აბაშიძე წერდა, პოლიცია ცდილობდა, მისთვის გადაეფიქრებინა განცხადების დანერა, ასევე არ გაესვა ხაზი ძალადობრივი მოტივისთვის.<sup>93</sup> აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო გამოძიება, რათა შეესწავლა, სახეზე იყო თუ არა პოლიციელების მხრიდან სავარაუდო უფლებამოსილების გადამეტების ფაქტი.<sup>94</sup>

### 3.1.4. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკა

2019 წლის 8 თებერვალს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით გამართულ კონფერენციაზე გამოაქვეყნა ინფორმაცია 2016-2018 წლებში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების და სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ ინფორმაცია. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის 359 საქმე შეისწავლა.<sup>95</sup>

2016 წელს შესწავლილი სისხლის სამართლის 63 საქმიდან სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 44 პირის მიმართ, აქედან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე 4, ხოლო გენდერული იდენტობის საფუძველზე 3 პირის მიმართ. 2017 წლის მონაცემებით 44 პირის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა, აქედან გენდერული იდენტობის საფუძველზე 10 პირის, ხოლო სექსის/გენდერის საფუძველზე 25, ხოლო სექსუალური ორიენტაციის

<sup>92</sup> იხ. საერთაშორისო ამნისტიის 2017/2018 წლების ანგარიში, გვ. 132: იხილეთ: <https://bit.ly/2ZRPTBs>

<sup>93</sup> იხ. ინფორმაცია: <https://bit.ly/2GU1J5i>

<sup>94</sup> იხ. ინფორმაცია: <http://netgazeti.ge/news/287516/>

<sup>95</sup> იხ. კონფერენცია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თემაზე, 2/25/2019;

[http://pog.gov.ge/geo/news?info\\_id=1962&fbclid=IwAR1oeD8SQhiMVjffrePL6eLjirN\\_R1PMdbBtkUwpE0FAkC\\_VkNbt7E19Q](http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1962&fbclid=IwAR1oeD8SQhiMVjffrePL6eLjirN_R1PMdbBtkUwpE0FAkC_VkNbt7E19Q)

საფუძველზე 5 პირის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა. 2018 წელს სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელდა 151 პირის მიმართ, აქედან გენდერის/სქესის საფუძველზე 111, სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე 15, ხოლო გენდერული იდენტობის საფუძველზე 12 პირის მიმართ დაიწყო დევნა.<sup>96</sup>

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით 2018 წელის განაჩენებში, სსკ-ის 53<sup>1</sup> მუხლის გამოყენება მოხდა შესწავლილი საქმეების 65%-ში, ხოლო აღნიშნული არ ყოფილა გამოყენებული საქმეების 35%-ში.<sup>97</sup>

2016 წელს სისხლის სამართლის მხოლოდ 4 საქმეზე მოხდა სავარაუდო დამნაშავე პირთა ბრალის შესახებ დადგენილებაში სსკ-ის 53.31 მუხლის მითითება, ოთხივე საქმე სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე სიძულვილის მოტივს მოიცავდა.<sup>98</sup> 2016 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2018 წელს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ბრალდებით სამინისტრომ 53 პირი დააკავა, აქედან სქესისა და გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის ბრალდებით დაკავებულ იქნა 39 პირი, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დანაშაულის ჩადენის ბრალდებით 10.<sup>99</sup>

კვლევის ფარგლებში “თანასწორობის მოძრაობამ” განცხადება წარადგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკურ დეპარტამენტში და მოითხოვა ინფორმაცია<sup>100</sup> საერთო სასამართლოების მიერ განხილული გენდერული და სექსუალური ნიშნით განხორციელებული დისკრიმინაციის საქმეების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის გამოყენების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საპასუხო წერილიდან (25.02.2019 N3-121-19) ირკვევა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ 2018 წელს მიღებულ

<sup>96</sup> იხ. ინფორმაცია, <http://pog.gov.ge/res/docs/sizulviliTmotivirebulidanashaulebisanalizi.pdf>, 2/25/2019;

<sup>97</sup> იხ. ინფორმაცია: <http://pog.gov.ge/res/docs/sizulviliTmotivirebulidanashaulebisanalizi.pdf>, 2/25/2019;

<sup>98</sup> იხ. ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ, თბილისი, 2018 წელი, გვ.25

<sup>99</sup> იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება შემდეგ ბმულზე: <https://police.ge/shinagan-saqmeta-saministrom-2018-tsels-sidzulvilis-motivit-chadenili-danashaulis-braldebit-53-piri-daakava/11660>

2014 წლიდან განცხადების წარდგენამდე ლგბტ პირთა მიმართ სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით განხორციელებული რამდენი საქმის განხილვა მოხდა საერთო სასამართლოების მიერ და რამდენი უზენაესი სასამართლოს მიერ. გთხოვთ, მოგვანოლოთ ინფორმაცია წლების მიხედვით, აქედან რამდენი საქმის განხილვა მოხდა ადმინისტრაციული, რამდენი სამოქალაქო და რამდენი სისხლის სამართლის წესით; მოგვანოლოთ აღნიშნულ საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

2014 წლიდან დღემდე ლგბტ პირთა მიმართ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე განხორციელებული რამდენი დისკრიმინაციის ფაქტის განხილვა მოხდა საერთო სასამართლოების და რამდენი უზენაესი სასამართლოს მიერ წლების მიხედვით. აქედან რამდენი საქმის განხილვა მოხდა სამოქალაქო, რამდენი ადმინისტრაციული და რამდენი სისხლის სამართლის წესით. გთხოვთ, მოგვანოლოთ აღნიშნულ საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მიერ აღნიშნულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები;

2017 წლიდან დღემდე, რამდენი სექსუალური მოტივით განხორციელებული ძალადობის ფაქტის განხილვა მოხდა საერთო სასამართლოების მიერ და უზენაესი სასამართლოს მიერ. გთხოვთ, მოგვანოლოთ აღნიშნული საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

გადაწყვეტილებებში სსკ-ის 53<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული გენდერული შეუნყნარებლობის მოტივი, როგორც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, მხოლოდ 2 საქმეში იქნა გამოყენებული, აქედან 1 სქესობრივი ნიშნით შეუნყნარებლობის მოტივს, ხოლო მეორე სხვა ნიშნით არსებულ შეუნყნარებლობის მოტივს შეეხებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურის სისტემაში გაიზარდა იმ დანაშაულების რაოდენობა 2016 წელთან შედარებით, სადაც გენდერული და სექსუალური ნიშნით განხორციელებული სიძულვილის მოტივი გამოიკვეთა, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლი განაჩენების დიდ ნაწილში იქნა გამოყენებული, ჰომოფობიური დანაშაულების იდენტიფიცირება სამართალდამცავი ორგანოებისთვის განსაკუთრებით რთულ პროცესს წარმოადგენს. აღნიშნული შესაძლებელია ბევრ ფაქტორთან იყოს დაკავშირებული, მათ შორის პოლიციელების მიერ გენდერული და სექსუალური ნიშნით განხორციელებული ძალადობის მიმართ არსებულ სენსიტიურობის დაბალ ხარისხთან, გარკვეულ საკითხებზე ცოდნის ნაკლებობასთან, ასევე საზოგადოებაში არსებულ სტიგმებთან.<sup>101</sup>

## 4. თანასწორობის უზრუნველყოფი ეროვნული მექანიზმები

### 4.1. საქართველოს პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო

გენდერული თანასწორობის საბჭო წარმოადგენს საკონსულტაციო ხასიათის ორგანოს. იგი ჯერ კიდევ 2004 წელს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე არსებობდა. 2010 წლიდან საბჭო გარდაიქმნა საქართველოს პარლამენტთან არსებულ მუდმივმოქმედ ორგანოდ. საბჭოს ძირითად ფუნქციას წარმოადგენს არა მხოლოდ საკანონმდებლო ბაზის განვითარებაზე ზრუნვა, არამედ გენდერული თანასწორობის საკითხებზე საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი<sup>102</sup> „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, გენდერული თანასწორობის საბჭოს უფლებამოსილებები განსაზღვრულია დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე.

<sup>101</sup> იხ.

<sup>102</sup> საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ, 2/26/2019, <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiabi-da-sabchoebi-8/genderuli-tanasworobis-sabcho/sabchos-shesaxeb>

გენდერული თანასწორობის საბჭოს ამჟამად მოქმედი დებულება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ დამტკიცდა. დებულების თანახმად, შესაძლებელია საბჭოს ფუნქციები შემდეგნაირად დავყოთ:

### **პოლიტიკის შემუშავების ფუნქცია**

გენდერული თანასწორობის საბჭო განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს გენდერულ სფეროში, შეიმუშავებს ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისთვის ღონისძიებებს.

### **მონიტორინგისა და ზედამხედველობის ფუნქცია**

საბჭო ზედამხედველობას უწევს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით. ისმენს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ასევე იღებს ინფორმაციას სამინისტროების/უწყებებისგან, კონტროლს უწევს ქალთა უფლებებთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებას.

### **ანალიზისა და საკანონმდებლო ნორმების ექსპერტიზის ფუნქცია**

კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად საბჭო შეიმუშავებს წინადადებებს, ასევე უზრუნველყოფს საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი პროექტების ექსპერტიზას გენდერული კუთხით.

### **სარეკომენდაციო ფუნქცია**

საბჭო შეიმუშავებს სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებებს გენდერული თანასწორობის დარღვევებზე რეაგირების მიზნით, როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე წარდგენილი განცხადებების ანალიზის შედეგად.<sup>103</sup>

გენდერული თანასწორობის სფეროში კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გარანტიების შექმნა, პოლიტიკის ძირითადი მიმართულებისა და სტრატეგიის განსაზღვრა საქართველოს პარლამენტის, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, ძირითად ფუნქციას წარმოადგენს. სწორედ, ის შეიმუშავებს გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად სისტემურ ცვლილებებს და სამოქმედო გეგმას, რომელიც სახელმძღვანელოა სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოებისთვის შესასრულებლად.

<sup>103</sup> იხ. გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება: <http://www.parliament.ge/ge/saparlameto-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/genderuli-tanasworobis-sabcho/sabchos-debuleba>

გენდერული თანასწორობის საბჭოს არსებული ინსტიტუციური მონაცემები და უფლებამოსილება ვერ ქმნის ეფექტურ გარანტიებს ქალთა მიმართ არსებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. არსებული დებულების ანალიზიდან გამომდინარე საბჭო ფუნქციების შესრულების დროს სარგებლობს ფართო დისკრეციით, მას არ აქვს დებულებაში აღნიშნული ფუნქციების შესრულების ვალდებულება, რაც განსაკუთრებით ზრდის საბჭოს პოლიტიკების რისკებს. გენდერული თანასწორობის საბჭოს დღეს მოქმედი სტრუქტურულიდან გამომდინარე, საბჭო შედგება პარლამენტის არანაკლებ 10 წევრიგან, რომლებიც შეირჩევიან პოლიტიკური პარტიის წევრთა პროცენტული რაოდენობის პროპორციულად. მიუხედავად იმისა, რომ საბჭო პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს წარმოადგენს, კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, რა ზომები უნდა გატარდეს საბჭოს ქმედითობის გასაზრდელად თუ მისი წევრები არ ან/ ვერ ასრულებენ დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

გენდერული თანასწორობის საბჭოს უფლებამოსილება საკმაოდ შეზღუდულია. საბჭოში წარდგენილ განცხადებებზე რეაგირების მოხდენის მიზნით საბჭო უფლებამოსილია, მოიწვიოს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. გენდერული თანასწორობის საბჭოს ინფორმაციით, განცხადებებზე რეაგირების მიზნით გამოიყენება სადეპუტატო პრაქტიკა, სხვა სამართლებრივი რეაგირების ზომას გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი არ ითვალისწინებს. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის არ არის, რაც ვერ ქმნის ძლიერ ინსტიტუციურ მექანიზმს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად.<sup>104</sup>

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2017 წლის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში საბჭომ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოყო, რომელთაც განისაზღვრა საბჭოს ამოცანები და საქმიანობები.

გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის მიხედვით განისაზღვრა 4 ძირითადი ამოცანა, რომელიც საბჭოს 2017 წლის განმავლობაში უნდა შეესრულებინა:

1. საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისა და ახალი კონცეფციის მიღების მხარდაჭერა;
2. გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფისა და მისი საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა;

<sup>104</sup> იხ. ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა და არსებული საკანონმდებლო ბარიერები, თბილისი, 2018, <https://bit.ly/2VQK1sU>

3. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგი და რეკომენდაციების შემუშავება;

4. გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და ქალთა მხარდასაჭერი ღონისძიებებში მონაწილეობა.<sup>105</sup>

2017 წლის მაისში საბჭოს მიერ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა ევროპის საბჭოს კონვენციის, ქალებზე ძალადობისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ რატიფიცირების შემდეგ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონში. ცვლილებების მიხედვით, ოჯახში ძალადობის საკითხებთან ერთად, საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში მოექცა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები. გაფართოვდა ძალადობის მსხვერპლის დეფინიცია და მოიცვა არა მხოლოდ ოჯახის წევრი, არამედ ქალი. ასევე გაიზარდა იმ პირთა ჩამონათვალი, ვისაც ძალადობის ფაქტების შესახებ სამართალდამცავი ორგანოებისთვის დაეკისრა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს 2017 წლის სამოქმედო გეგმით დაიგეგმა ქალთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ცალკეული საქმიანობების განხორციელება, საბჭოს ლგბტ პირთა მიმართ არსებული ჰომოფობიური განწყობებისა და ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა ამოცანად არ განუსაზღვრავს და შესაბამისად ამ მიმართულებით არც ცნობიერების ამაღლებისა და ლგბტ პირთა მხარდასაჭერი ღონისძიებები განუხორციელებია.<sup>106</sup>

განსხვავებით 2017 წლის სამოქმედო გეგმისგან გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018 წლის გეგმით, ძირითადად ამოცანად გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება განისაზღვრა. საბჭომ გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის განვითარებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობის მიზნით ცალკეული საკანონმდებლო ინიციატივები მოამზადა, მათ შორის სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი.<sup>107</sup> 2017 წლის გეგმის მსგავსად, 2018 წლის სამოქმედო გეგმაც არ ითვალისწინებს ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კონკრეტულ აქტივობებს.

<sup>105</sup> იხ. გენდერული თანასწორობის საბჭოს 2017 წლის სამოქმედო გეგმა: <https://bit.ly/2Ch2LUM>

<sup>106</sup> იხ. გენდერული თანასწორობის საბჭოს 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში: [http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/100245/GEC\\_Report\\_2017](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/100245/GEC_Report_2017)

<sup>107</sup> იხ. გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018 წლის სამოქმედო გეგმა: <https://bit.ly/2tQBdTX>

#### 4.2. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ

დისკრიმინაციის გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად ქმედითი ღონისძიებების განხორციელება ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი/აღმასრულებელი ორგანოების უფლებამოსილებას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე თვითმმართველ ერთეულებში კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით იქმნება მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოები. საბჭო წარმოადგენს კოლეგიურ ორგანოს, რომელიც კოორდინირებულად მუშაობს საქართველოს პარლამენტის გენდერულ საბჭოსთან და იქმნება შესაბამისი საკრებულოს მიერ. საბჭოს შემადგენლობა, ფუნქციები და უფლებამოსილება განსაზღვრულია საკრებულოს რეგლამენტით და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის მე-5 ნიშნული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსაც აკისრებს ვალდებულებას, მიიღოს ღრობითი სპეციალური ზომები, რათა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს გენდერული ბალანსის დაცვა არსებულ დაწესებულებებში, ხოლო, მეორე მხრივ, ქალების სრული და ეფექტიანი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე.<sup>108</sup>

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ერთგულ მექანიზმებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არსებული საბჭოების არსებობა, რადგან სწორედ აღნიშნული ორგანოების მიერ უნდა მოხდეს მუნიციპალური საჭიროებებიდან გამომდინარე გენდერული პოლიტიკის დაგეგმვა და აღსრულება. აღნიშნულ ორგანოებს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი და საბჭოს დებულება არ აკისრებს ვალდებულებას, განეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მიანოდონ საკრებულოს ან საქართველოს პარლამენტთან არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოს, რაც ამცირებს მათი ანგარიშვალდებულების ხარისხს.

ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლისა და საქმიანობების დაგეგმვას აღმასრულებელ ორგანოებში უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე, რომელსაც მუნიციპალიტეტის

<sup>108</sup> იხ. ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა და არსებული საკანონმდებლო ბარიერები, თბილისი, 2018, <https://bit.ly/2VQK1sU>

მერი განსაზღვრავს. გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნა მუნიციპალიტეტის ვალდებულებას არ წარმოადგენს. როგორც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში, ასევე ადგილობრივ დონეზე კვლავ გამოწვევას წარმოადგენს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების არსებობა. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში, რომელიც ქალთა უფლებები მდგომარეობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებს აფასებს, აღნიშნულია, რომ ცენტრალურ დონეზე, სამინისტროების 44%-ში აღნიშნული საქმიანობის შესრულება სხვა პოზიციებზე მყოფი პირების მიერ ხდება, სამინისტროების 50%-ში კი მსგავსი კადრი საერთოდ არ არსებობს.<sup>109</sup>

გენდერული თანასწორობის ადგილობრივი საბჭოების მიერ აქტიურად უნდა დაიწყოს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მუნიციპალური საჭიროებებიდან გამომდინარე ლგბტ პირთა დისკრიმინაციული თუ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შემცირებისთვის კონკრეტული ამოცანების განსაზღვრა. ამისთვის მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მოხდეს საბჭოს მიერ საჭიროებების კვლევა, ხოლო მეორეს მხრივ გაიმართოს სამუშაო შეხვედრები სათემო ორგანიზაციებისა თუ აქტივისტების მონაწილეობით, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე ლგბტ პირთა არა მხოლოდ ხილვადობის გაზრდას და მათ ინკლუზიურ მონაწილეობას ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავების პროცესში, არამედ არსებული უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც მხოლოდ ცენტრალურ დონეზე ცალკეული ამოცანების დასახვით თუ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებით ვერ მიიღწევა.

### 4.3. სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს თანასწორობის დაცვას საქართველოში. ამ მიზნით იგი უფლებამოსილია, შეისწავლოს სახელმწიფო/ადგილობრივი ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობა და გაატაროს ღონისძიებები დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.<sup>110</sup>

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ შესახებ საქართველოს კანონის მე-14<sup>1</sup> მუხლი საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრავს სახალხო დამცველის უფლებამოსილებებს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. დისკრიმინაციის ფაქტების ანალიზის საფუძველზე სახალხო დამცველი უფლებამოსილია, გამოსცეს რეკომენდაციები, ასევე ზოგადი წინადადებით მიმართოს შესაბამის დაწესებულებებს, რათა უზრუნველყოს არსებული უთანასწორობის აღმოფხვრა. ამავე კანონის 24-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს უფლება აქვთ რეკომენდაციების განხილვის შემდეგ წერილობით

<sup>109</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4451.pdf>

<sup>110</sup> იხ. საქართველოს კანონი „სახალხო დამცველის შესახებ“ : <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33034>



აცნობონ სახალხო დამცველს მათი შედეგები. თუ სახელმწიფო ორგანოებმა მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან არ შეასრულა მის მიერ გამოცემული რეკომენდაციები, სახალხო დამცველი უფლებამოსილია, როგორც დაინტერესებულმა პირმა, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება.

111

სახალხო დამცველის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვაზე ზედამხედველობის განმხორციელებელი ორგანოს, ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია, მის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს სავალდებულო ხასიათი ჰქონდეს. დღეს არსებული მოდელის მიხედვით, სახალხო დამცველი სარეკომენდაციო შინაარსის მითითების და წინადადების გაცემის უფლებამოსილებით შემოიფარგლება.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებიდან 2018 წლის ნოემბრამდე სახალხო დამცველის შემოსული განცხადებებიდან:

**სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის ნიშნით** განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტს შეეხებოდა 34 განცხადება, აქედან 28 შემთხვევაში განმცხადებელი იყო ფიზიკური პირი, ხოლო 4 შემთხვევაში განაცხადი იურიდიული პირის მიერ არის წარდგენილი. საკუთარი ინიციატივით წარმოება დაიწყო სახალხო დამცველმა 2 ფაქტთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წარდგენილი განცხადებების შესწავლის შედეგად მხოლოდ 6 შემთხვევაში გაიცა რეკომენდაცია და 6 შემთხვევაში იქნა გამოცემული ზოგადი წინადადება.

**სავარაუდო გენდერული იდენტობის ნიშნით** განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით წარდგენილი განცხადებების საერთო რაოდენობა შეადგენდა 26-ს, აქედან ფიზიკური პირების მიერ 20 განცხადება იქნა წარდგენილი, იურიდიული პირების მიერ 5, ხოლო 1 ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო წარმოება. აღნიშნული განცხადებების შესწავლის შემდეგ გაიცა 1 რეკომენდაცია და 8 ზოგადი წინადადება.

გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივით დაიწყო შესწავლა სამ ფაქტზე:

- *სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების შესახებ ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით;*
- *Cclean.ge-ის დისკრიმინაციული ხასიათის რეკლამასთან დაკავშირებით;*
- *მედია საშუალებების მიერ დისკრიმინაციის ნახალისების შემთხვევებთან დაკავშირებით.*

<sup>111</sup> იხ. ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა და არსებული საკანონმდებლო ბარიერები, თბილისი, 2018, <https://bit.ly/2VQK1sU>

გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციები და ზოგადი წინადადებები გაზიარებული (შესრულებული) იქნა **3 შემთხვევაში**, არ იქნა გაზიარებული (შესრულებული) **6 შემთხვევაში**. გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებით, როგორც დაინტერესებულ პირს, საქართველოს სახალხო დამცველს სასამართლოსათვის არ მიუმართავს.<sup>112</sup>

ევროპის საბჭოს საზოგადოებრივი კვლევის 2018 წლის ანგარიშში, რომელიც მომზადდა პროექტისთვის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ აღნიშნულია, რომ საზოგადოების დაახლოებით ნახევარს (53%) არ აქვს ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატის შესახებ და მხოლოდ 35% არის ინფორმირებული, რომ სახალხო დამცველი დისკრიმინაციასთან, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით საკუთარი მანდატის ფარგლებში ახორციელებს უფლებამოსილებას, რაც კიდევ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ მნიშვნელოვნია ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება.<sup>113</sup>

#### 4.4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს როლი

წლების განმავლობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ სისხლის სამართლის საქმეების საგამოძიებო სტრუქტურის შემადგენლობაში არ არსებობდა ორგანო, რომელიც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების სრულყოფილად წარმართვას უზრუნველყოფა.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს პერიოდულ მიმოხილვაში საუბარია იმაზე, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისთვის ერთი ცენტრალიზებული სტრუქტურის არსებობა ვერ უზრუნველყოფდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სათანადოდ გამოძიებას, ამისთვის მნიშვნელოვანი იყო სპეციალური უწყების შექმნა.<sup>114</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 12 იანვარის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი, რომლის ამოცანადაც განისაზღვრა ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი

<sup>112</sup> იხ. სახალხო დამცველის პასუხი „თანასწორობის მოძრაობის“ 2018 წლის 4 დეკემბრის N16808/18 განცხადებასთან დაკავშირებით.

<sup>113</sup> იხ. სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში, საზოგადოების განწყობა და ინფორმირებულობა, ევროპის საბჭო, 2018 წ. ვვ. 68;

<sup>114</sup> იხ. A/HRC/31/15/Add.1, 118.10

დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე დროული რეაგირება და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის დებულების თანახმად ფუნქციები შემდეგნაირად შეიძლება, დაჯგუფდეს:

**მონიტორინგის ფუნქცია:** ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებულ ფაქტებზე გამოძიებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმისწარმოების ზედამხედველობა;

**სარეკომენდაციო ფუნქცია:** სიძულვილით მოტივირებული გამოძიებისა და ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების პროცესში დაშვებული ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციის პროექტების მომზადება და შს მინისტრისთვის წარდგენა;

**სტატისტიკის წარმოება:** გამოძიებასთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემების გამოთხოვა და ანალიზი;

**საგანმანათლებლო საქმიანობა:** ცალკეულ შემთხვევებში მოსამსახურეთა საჭიროებების განსაზღვრა და მათი კვალიფიკაციის და გადამზადების მიზნით სპეციალური ღონისძიებების განხორციელება.

2019 წლის 4 თებერვალს შინაგან საქმეთა მინისტრის №11-ე ბრძანების თანახმად, აღნიშნული დეპარტამენტი გარდაიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტად. ამავე ბრძანებით დამტკიცდა დეპარტამენტის დებულება.

დებულების მე-8 მუხლის თანახმად შეიქმნა გამოძიების ხარისხის ანალიზისა და შეფასების სამმართველო, რომელსაც გამოძიების ხარისხის მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების მომზადების, გამოძიების მეთოდოლოგიის შემუშავების, ასევე ადმინისტრაციულ საქმის წარმოებასთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემების ცალკეული უწყებიდან გამოთხოვნისა და დეპარტამენტის უფლებამოსილების ფარგლებში განხილული საქმეებზე მომუშავე მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ცალკეული აქტივობების განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა.<sup>115</sup>

დეპარტამენტის ამოცანად განისაზღვრა, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების, ასევე არასრულწლოვანთა და

<sup>115</sup> იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №11, 2019 წლის 4 თებერვალი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ;

ოჯახში ძალადობის საქმეებზე მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფა, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე დროული რეაგირების და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო დეპარტამენტს. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 25 აპრილის N53-ე ბრძანების თანახმად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი უზრუნველყოფს უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვას, კონკრეტულ სამართალდარღვევებზე რეაგირების გზით დანაშაულის თავიდან აცილებას, ასევე აღკვეთას, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის ახორციელებს კონკრეტულ პრევენციულ ღონისძიებებს, აგრეთვე ეწევა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას.<sup>116</sup>

არაერთი კვლევა, რომელიც პოლიციის საქმიანობის ბუნებისა და მისი ორგანიზაციული ხასიათის შესწავლის პროცესში შემუშავდა, ყურადღებას ამახვილებს ამ სისტემაში დასაქმებული პირების პროფესიული კულტურის აუცილებლობაზე. გარდა იმისა, რომ პოლიციის საქმიანობა მუდმივად კანონის და ადამიანის უფლებების პატივისცემის იდეას უნდა ეფუძნებოდეს, მნიშვნელოვანია, რომ მათი საქმიანობა და ქცევა ეთიკური ნორმებითაც შეიზღუდოს, რათა გაიზარდოს პოლიციის მიმართ საზოგადოების ნდობა.<sup>117</sup>

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1979 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის 34/169 რეზოლუციით მიღებული სამართალდამცავი ორგანოების ქცევის კოდექსი სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს, საპოლიციო უფლებამოსილების განმახორციელებელ პირებს, აკისრებს შემდეგი ვალდებულებებს:

- უფლებამოსილების განხორციელების დროს შეიბოჭონ კანონით დადგენილი მოთხოვნებით;
- პატივი სცენ ადამიანის ღირსებას და მათი საქმიანობა იყოს დაფუძნებული ადამიანის უფლებების დაცვის პატივისცემის იდეაზე, რაც გამორიცხავს ადამიანების მიმართ უთანასწორო, წამების ან არაადამიანურ მოპყრობას;
- მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში გამოიყენონ ძალა და აღნიშნული დაეფუძნოს მკაცრად პროპორციულობის პრინციპს;

<sup>116</sup> იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №53, 2018 წლის 25 აპრილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ;

<sup>117</sup> რ. კროუშოუ, პოლიცია და ადამიანის უფლებები, გვ. 23;

➤ უზრუნველყონ წარმოებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა.<sup>118</sup>

ევროპის საბჭოს დეკლარაცია პოლიციის შესახებ, რომელიც 1979 წლის 8 მაისს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 690 (1979) რეზოლუციით იქნა დამტკიცებული, პოლიციის მუშაკებს აკისრებს ვალდებულებას, დაიცვან მოქალაქეები ძალადობისა და სხვა სახის ზიანის მომტანი ქმედებებისგან. აღნიშნული პოლიციის მუშაკებისგან მოითხოვს, შესაძლებლობის ფარგლებში მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა თავიდან იქნას აცილებული კანონმდებლობის დარღვევა.<sup>119</sup>

#### 4.5. პროკურატურის როლი

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით პროკურატურა სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოა. აღნიშნული ფუნქციის შესრულების მიზნით პროკურატურა უზრუნველყოფს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას და სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.<sup>120</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია, გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ.

კანონმდებლობით დადგენილი წესით ბრალდების შესახებ დადგენილება შემდეგ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს:

- ბრალდებულის საკონტაქტო ინფორმაცია;
- ბრალდების ფორმულირება, რაც გულისხმობს ინკრიმინირებული ქმედების აღწერას მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;
- გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული პირმა ჩაიდინა;

<sup>118</sup> იქვე გვ. 24;

<sup>119</sup> იქვე გვ. 25.

<sup>120</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009 მუხლი 32;

➤ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მითითება, რომლებითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული.<sup>121</sup>

[...] სახელმწიფო ბრალდების მიერ შეუწყნარებლობის მოტივის მიუთითებლობა სასამართლოს უკარგავს შესაძლებლობას, ადეკვატურად შეაფასოს დანაშაულის გარემოებები, მათ შორის, დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებები (მუხლი 53.31 ) და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით საქმეზე ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღოს, ადეკვატური სასჯელის ზომის მითითებით. სწორედ აღნიშნული შედეგის თავიდან ასაცილებლად პროკურატურა ვალდებულია, ობიექტურად აღწეროს საქმეზე არსებული ყველა გარემოება, სრულყოფილად ასახოს მოტივის არსებობა და თან დაურთოს საქმეს გამოძიებისას მოპოვებული ყველა მტკიცებულება.<sup>122</sup>

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის პროცესში განსაკუთრებული როლი აკისრია პროკურატურას. წლების განმავლობაში საზოგადოება ნდობის დაბალი ხარისხი სამართალდამცავი ორგანოების მიმართ იყო ერთ-ერთი ნეგატიური ფაქტორი, რაც გენდერული და სექსუალური ნიშნით განხორციელებულ დანაშაულებთან დაკავშირებით კანონმდებლობის აღსრულების ეფექტურობას ამცირებდა. 2018 წელს ევროსაბჭოს მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი კვლევის ანგარიშის მიხედვით, რაც მომზადდა პროექტისთვის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ შეფასდა დისკრიმინაციასთან ბრძოლაში ჩართული აქტორების მიერ განეული მუშაობის ეფექტურობა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებსა და სიძულვილის ენასთან ბრძოლის კუთხით. გამოკითხული მოქალაქეების მხოლოდ 28%-ს აქვს ნდობა პროკურატურის მიმართ, ხოლო აღნიშნულ ორგანოს ნაწილობრივ ენდობა საზოგადოების 40%.<sup>123</sup>

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ (CCJE) და ევროპის პროკურორთა საკონსულტაციო საბჭომ (CCPE) 2009 წლის 8 დეკემბერს მიიღო ბორდოს დეკლარაცია დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსამართლეებსა და პროკურორებს შორის ურთიერთობების შესახებ.

აღნიშნული დეკლარაციის თანახმად, [...] ნებისმიერი გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ან არდაწყების შესახებ უნდა იყოს სამართლებრივად გამართული. პროკურორის მიერ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ან არდაწყების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონის საფუძველზე ნებისმიერი გადასინჯვა უნდა

<sup>121</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009 მუხლი 169;

<sup>122</sup> ლ. ჯალაღანია, ოპერატიულ სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ, თბილისი, 2017, გვ.78.

<sup>123</sup> საზოგადოებრივი კვლევის ანგარიში, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: საზოგადოების განწყობა და ინფორმირებულობა, 2008 წელი, 62.

განხორციელდეს მიუკერძოებლად და ობიექტურად, იმისდა მიუხედავად, ბრალდების სამსახურის ფარგლებში ხდება აღნიშნული თუ დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ. დაზარალებულის, ასევე ნებისმიერი სხვა პირის სამართლებრივი ინტერესები ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული სათანადოდ.”<sup>124</sup>

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსამართლეებისა და პროკურორების ფუნქციები ურთიერთშემავსებელი ხასიათის უნდა იყოს. მიუკერძოებელი მართლმსაჯულების იდეა მოითხოვს სახელწიფო ბრალდებისა და დაცვის მხარეების, საჯარო პროკურორების შებოჭვას ობიექტურობის, კეთილსინდისიერებისა და მიუკერძოებლობის პრინციპით. მოსამართლეებისა და პროკურორების საქმიანობა არ უნდა ტოვებდეს ეჭვს მათ ობიექტურობისა და მოუკერძოებლობის თვალსაზრისით. ფუნქციების განხორციელების პროცესში მოსამართლეები და პროკურორები რეალურად უნდა იყვნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი.<sup>125</sup>

#### 4.6. საკონსტიტუციო სასამართლოს როლი

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური კონტროლის ობიექტი შეიძლება იყოს ნორმატიული აქტის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან. საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს სასამართლო გადაწყვეტილებების, რეალაქტებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის საკითხი.

კანონმდებლობა ხშირად განსაზღვრავს იმ ნორმატიული აქტის სახეებს, რომლებიც შეიძლება, შემდგომში გახდეს საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი. ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლი შეზღუდული ხასიათისაა. მეორე მიდგომა კი ითვალისწინებს ნებისმიერი ხასიათის ნორმატიული აქტის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. აღნიშნული სახის კონტროლს ე.წ. უნივერსალური ხასიათის კონტროლი ეწოდება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა გაცილებით უფრო ფართოა და დაუშვებელია, დამატებითი ხასიათის საკანონმდებლო რეგულაციებით შეიზღუდოს. ინდივიდუალურ საკონსტიტუციო სარჩელთან დაკავშირებით საკონსტიტუციო კონტროლს დაქვემდებარებული ნორმატიული აქტები უნივერსალური ხასიათისაა. საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი.

<sup>124</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) და ევროპის პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს (CCPE), რომელთაც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2009 წლის 8 დეკემბერს მიიღო ბორდოს დეკლარაცია დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსამართლეებსა და პროკურორებს შორის ურთიერთობების შესახებ, პ. 9;

<sup>125</sup> იქვე. პ.36

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ სათავე დაედო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ეფექტიანობის კრიტიკას. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ინდივიდუალური მიმართვის უფლებას ე.წ. „არარეალური“ საკონსტიტუციო საჩივრის ფორმით. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ ცალკეულ პირებს შეუძლიათ, ეჭვქვეშ დააყენონ მოქმედი კანონმდებლობის კონსტიტუციურობის საკითხი, მაშინაც კი, როცა მისი განხორციელება მათზე ზემოქმედებას არ ახდენს. თუმცა, მათ არ შეუძლიათ, გაასაჩივრონ სასამართლოების ან საჯარო უწყებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ კონკრეტულ მდგომარეობაზე. (...) რათა საშუალება ეფექტური იყოს, მან, უბრალოდ, ირიბად კი არ უნდა დაიცვას კონვენციის მე-6 მუხლით (რაც გულისხმობს სასამართლოსადმი მიმართვის და სამართლიანი სასამართლოს უფლებას) უზრუნველყოფილი უფლება, არამედ უნდა უზრუნველყოს სასარჩელო პრეტენზიების პირდაპირი და სწრაფი დაკმაყოფილება კონკრეტული ზიანისთვის. სასამართლოს განმარტებით, არსებული კონსტიტუციური კონტროლის მოდელი უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს მოდელის მსგავსია. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე „ვენი უზრუნველყოფის წინააღმდეგ“ აღნიშნული მოდელი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისთვის არაეფექტურ შიდასახელმწიფოებრივ საშუალებად იქნა მიჩნეული. უზრუნველყოფის საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, პირის სარჩელის საფუძველზე შეამოწმოს მხოლოდ კანონების კონსტიტუციურობის საკითხი, უზრუნველყოფის კონსტიტუციის 24-ე მუხლის შესაბამისად.<sup>126</sup>

საკონსტიტუციო საკითხებთან მიმართებით საინტერესოა ვოლფგანგ ბაბეკის რეკომენდაციები, რომლებიც 2013 წლის თებერვალში იქნა შედგენილი. მისი მოსაზრებით, მოქალაქეებს უნდა მიეცეთ საკონსტიტუციო სასამართლოში სახელმწიფოს მიერ მიღებული აქტების ინდივიდუალური გასაჩივრების სისტემა. იმისთვის, რომ არსებული მოდელი შეიცვალოს, არსებობს ბევრი მიზეზი. პირველი არის ის, რომ „...ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის არსებულ სისტემას აკლია ადამიანის უფლებათა დარღვევების პირდაპირი და კონკრეტული გამოსწორების ეფექტური მექანიზმები, რაც ჯერ კიდევ 6 წლის წინ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ იქნა გაცხადებული. მეორე მიზეზი არის ის, რომ უკანასკნელი წლების პერიოდში მმართველი ძალების მიერ ხდება მოსახლეობის დაშინება. ავტორიტარული ძალების სათანადო მონიტორინგის გარეშე კი ნებისმიერი მომავალი ხელისუფლება დამარცხდება გაბატონებული ძალების წინაშე, თუ არ მოხდება არსებული კონსტიტუციური კონტროლის მოდელის შეცვლა. შემდეგი არგუმენტი, რომელსაც ბაბეკი თავის

<sup>126</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fgadackvetilebebi%2Fapostoli%20saq.%20cinaagmdg.pdf>



რეკომენდაციებში აყალიბებს, არის ის, რომ ინდივიდუალური გასაჩივრების სისტემის შემოღებამ უნდა გაზარდოს, ერთი მხრივ, ადამიანთა სამოქალაქო გამბედაობა, ხოლო, მეორე მხრივ, ინდივიდუალური აქტები და სასამართლო გადანყვეტილებები მოარგოს კონსტიტუციურ ჩარჩოებს. ამასთან, გაიზრდება საქართველოს ავტორიტეტი საერთაშორისო დონეზე, განსაკუთრებით კი, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, სადაც საქართველოს წინააღმდეგ არაერთი საჩივარი შედის.<sup>127</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებით შებოჭილი არიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები. მათ, ერთი მხრივ, ეკისრებათ ვალდებულება, აღასრულონ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები, ხოლო, მეორე მხრივ, ეკრძალებათ მომავალში ისეთი სამართლებრივი აქტების მიღება/გამოცემა, რომლებიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. კანონმდებელი ვალდებულია, სადავო ურთიერთობა ახლებურად მოაწესრიგოს, ხოლო ამ პროცესში იგი საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებით უნდა ხელმძღვანელობდეს. ბუნებრივია, მხოლოდ დოკუმენტებით ხელმძღვანელობა საკმარისი არ არის, მნიშვნელოვანია სამართლებრივი ურთიერთობების იმგვარად მოწესრიგება, რომ არ მოხდეს გადანყვეტილებით დადგენილი წესებიდან გადახვევა, მისი დაძლევა/გადალახვა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონშემოქმედება პარლამენტის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა, თუმცა, არსებობს იმის საშიშროება, რომ ურთიერთობის მომწესრიგებელმა ახალმა ნორმამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსი გაიმეოროს. ამის გამომწვევი მიზეზი ბევრია. შესაძლოა, პარლამენტმა გადანყვეტილების არასწორი ანალიზი გააკეთოს. ასევე, ახალი ნორმის მიღება, შესაძლოა, პოლიტიკური ნების გამოხატულებას წარმოადგენდეს.<sup>128</sup>

#### 4.7. საერთო სასამართლოების როლი

ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების განხილვის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლეთა სათანადო მომზადებას. მიუხედავად იმისა, რომ არსებული სტანდარტებით, კერძოდ კონსტიტუციით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საპროცესო ნორმებით მოსამართლეები საქმის განხილვისა და გადანყვეტილების მიღების პროცესში შებოჭილი არიან კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით დადგენილი სტანდარტებით, უმეტეს შემთხვევაში მართლმსაჯულების

<sup>127</sup> იხ. ვ. ბაბუკი, რეკომენდაციები საკონსტიტუციო საკითხებთან მიმართებაში, GIZ პროგრამის მხარდაჭერით განხორციელებული მისიის ანგარიში, 2013 წლის თებერვალი.

<sup>128</sup> იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის გადანყვეტილება საქმეზე „მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ. 5.

განხორციელების პროცესში ჰომოფობიური თუ ტრანსფობიური ნიშნით არსებული დისკრიმინაციული საქმეების განხილვისას ხშირად იკვეთება პროცესის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევა, რაც ვერ განამტკიცებს მხარეთა ნდობას არსებული სისტემის მიმართ და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ეფექტურ რეალიზაციას.

მხარეთა თანასწორობის და მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა თავისი არსით მოითხოვს ყველა პირისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემას მტკიცებულებათა წარდგენისა თუ მოსაზრების გამოხატვის პროცესში. ასევე ბალანსის დაცვას პროცესის მიმდინარეობისას. სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას მხარეთა თანასწორობა ვლინდება დაცვისა და ბრალდების მხარეთა მიმართ თანაბარ მოპყრობაში.<sup>129</sup> ფუნდამენტური საკითხია მოსამართლეთა სუბიექტური თუ ობიექტური მიკერძოების მაღალი სტანდარტის არსებობა ლგბტ პირთა მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის თუ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების განხილვისას.

ერთოს დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნაში, რომელიც საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან შეხვედრის შემდეგ მომზადდა, აღნიშნულია, რომ თითქმის უმეტეს შემთხვევაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების განხილვის დროს არც ერთხელ იქნა მოსამართლეების მიერ სიძულვილის მოტივის გათვალისწინება დამამძიმებელ გარემოებად, რაც ჰომოფობიური თუ ტრანსფობიური დანაშაულებს დამამძიმებელ კვალიფიკაციას მიანიჭებდა. გამოკვეთილი ტენდენციის მიზეზი კი შესაძლებელია იყო იურიდიული პერსპექტივის ნაკლებობა, გამოძიების პროცესში მოტივის უგულებელყოფა.

კვლევის ფარგლებში „თანასწორობის მოძრაობამ“ განცხადება წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე განხილული საქმეების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ კი, 2014 წლიდან ღვემდე ლგბტ პირთა მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე განხორციელებული რამდენი დისკრიმინაციული ფაქტის განხილვა მოხდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, აქედან რამდენი საქმის განხილვა მოხდა სამოქალაქო, რამდენი ადმინისტრაციული და რამდენი სისხლის სამართლის წესით. აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, კერძოდ თანასწორობის მოძრაობის 2018 წლის განცხადების (რეგისტრაციის N60187-2760375-2760367) პასუხში აღნიშნულია, რომ მსგავსი სახით ინფორმაციის სტატისტიკური აღრიცხვა და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება, რაც გახდა

<sup>129</sup> იხ. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი 2008, გვ. 88.

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. ასევე მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკურ დეპარტამენტს, რათა საერთო სასამართლოებში არსებული ინფორმაციის ანალიზი მოეხდინა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ (წერილის ნომერი: 25.02.2079, N3-121-19) განმარტა, რომ სასამართლო სტატისტიკაში განცხადებაში მოთხოვნილი ნიშნების მიხედვით მონაცემების წარმოება არ ხდება.

კანონის უზენაესობა დემოკრატიულ ქვეყანაში გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, არამედ რაც შეიძლება მაღალი ხარისხის გადანყვეტილებათა მიმღები, კომპეტენტური სასამართლო სისტემის შექმნას. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) მუდმივი ყურადღების საგანს წარმოადგენს ორი ფუნდამენტური საკითხი: უპირველეს ყოვლისა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დაცვა და მეორე, სასამართლო სისტემების ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდა. ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნის 23-ე პუნქტში ხაზგასმულია, რომ როგორც საერთო, ასევე სპეციალიზებული სასამართლოების ყველა მოსამართლეს უნდა გააჩნდეს სათანადო ცოდნა, რათა შეძლონ ფაქტებისა და კანონის გაანალიზება, გადანყვეტილების გამოტანა სამართლის სხვადასხვა დარგის საქმეებზე. ამისთვის მათ უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი ინსტიტუტებისა და პრინციპების ფართო ცოდნა.<sup>130</sup>

დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტური სასამართლო გარანტიების არსებობა და მოსამართლეთა მუდმივი მომზადება ამ მიმართულებით სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს. ამისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სასწავლო მოდულების შემუშავება, არამედ პრაქტიკისა და სტატისტიკის მუდმივად წარმოება მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების მიერ.

<sup>130</sup> იხ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), დასკვნა N° 17 (2014) მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, მართლმსაჯულების ხარისხისა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პატივისცემის შესახებ;

## დასკვნები და რეკომენდაციები

### საქართველოს პარლამენტს:

➤ დაიწყოს აქტიური დისკუსია საზოგადოების ფართო მონაწილეობით ქორწინების ისეთი კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოდელის შემოღებისთვის, რაც ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილების სამართლებრივი აღიარებას მოახდენს.

მნიშვნელოვანია, განხორციელდეს ცვლილებები „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში:

➤ კანონის პირველ მუხლში დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანაბარი სარგებლობის უზრუნველყოფად აუცილებელია, დისკრიმინაციის არსებულ ფორმებს დაემატოს შევიწროების ცნება.

➤ თანასწორობის უფლების ეფექტური რეალიზაციისთვის მნიშვნელოვანია, გაიზარდოს გასაჩივრების ვადა 1 წლამდე.

➤ სახალხო დამცველს მიერ დისკრიმინაციის ფაქტების შესწავლის პროცესში ნებისმიერი სახელწიფო და ადმინისტრაციული ორგანოს გარდა კერძო სამართლის იურიდიულ პირებსაც უნდა ჰქონდეთ ვალდებულება საქმის განხილვასთან და დაკავშირებული მასალები გადასცენ კანონით დადგენილი წესით სახალხო დამცველს.

➤ „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით უნდა მოხდეს ცალკეული უფლებების დასაცავად საპროცესო-სამართლებრივ მექანიზმებზე მითითება, რაც უზრუნველყოფს კანონით განსაზღვრული დებულებების ეფექტურად განხორციელებას.

➤ გენდერული თანასწორობისა და ფორმალური მოდელიდან არსებითი თანასწორობის დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანია გატარდეს ეფექტური საკანონმდებლო ზომები, მათ შორის, პარლამენტმა განაახლოს დისკუსია გენდერული კვოტირებით შემოსაღებად.

➤ კანონმდებლობით განისაზღვროს გენდერის სამართლებრივი აღიარების ჰუმანური წესი და გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები გენდერის სამართლებრივი აღიარების არსებული მოდელის შესაცვლელად.

### საჯარო დაწესებულებებს:

- თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინონ სათანადო რეაგირება დისკრიმინაციისა და შევიწროების ფაქტებზე და კონფიდენციალობის პრინციპის სრული დაცვით განახორციელონ მათი განხილვა.
- განისაზღვროს დეტალური ინსტრუქცია გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციისა თუ შევიწროების ფაქტებზე შიდა სამართლებრივი რეაგირებისთვის სახელმძღვანელო თუ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ.

### საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> და 142-ე მუხლების ეფექტიანი აღსრულებისა და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების დროული და ეფექტიანი გამოძიების წარმართვა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის მიერ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების პროცესში არსებული პრობლემების პერიოდული შესწავლა და არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე ეფექტური მექანიზმების შემუშავება;
- საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური თუ ტრანსფობიური განწყობების და არსებული სტიგმის შესამცირებლად შსს-ს და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ერთობლივი პროექტების განხორციელება.

### საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

- სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ დადგენილებებში სიძულვილის შესაძლო მოტივის გათვალისწინებული პრაქტიკის დანერგვა. ამ მიზნით სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება საგამოძიებო ფუნქციით აღჭურვილი პირებისთვის.
- სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით გამომძიებლებისა და პროკურორებისთვის სპეციალური, ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება.
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას.

### სახალხო დამცველს

➤ სახალხო დამცველის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვაზე ზედამხედველობის განმხორციელებელი ორგანოს ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია, მის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს სავალდებულო ხასიათი ჰქონდეს. არსებული მოდელის მიხედვით სახალხო დამცველი სარეკომენდაციო შინაარსის მითითების და წინადადების გაცემის უფლებამოსილებით შემოიფარგლება.

➤ სახალხო დამცველის გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის განხორციელება და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მექანიზმის პრაქტიკაში ამოქმედება, სასამართლოსადმი მიმართვა დაინტერესებული პირის სტატუსით ცალკეულ შემთხვევაში რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობისას.

### საერთო სასამართლოებს

➤ შეიმუშაოს სახელმძღვანელო პრინციპები დისკრიმინაციასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მოსამართლეებისთვის.

➤ აწარმოოს სტატისტიკა და პერიოდულად მიანოდოს დისკრიმინაციის და სიძულვილით მოტივირებულ საქმეებთან დაკავშირებით არსებული ინფორმაცია საზოგადოებას.

➤ მომზადდნენ მოსამართლეები და შემუშავდეს მათთვის სპეციალური სასწავლო მოდული დისკრიმინაციის და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ცალკეულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.